100 ლექსი

მუხამეანი



ინტელექტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მურმან ლეგანიძე

100 ლექსი

შემდგენელი და რედაქტორი
ელენე ჭავჭავაძე

გამომცემლობა ინტელექტი
თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქართული პოეზია

საგამომცემლო პროექტის ავტორი

კახმეგ კუდავა

ISBN 99940-39-61-X (სერიის ნომერი)

ISBN 99940-39-58-X (მ. ლებანიძე, „100 ლექსი“)

© გამომცემლობა „ინტელექტი“, 2006.

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

„კოჭლი სტრიქონი ერჩიაო მთელს იმპერიებს!“

მწერალი ბევრი გვყავს, კლასიკოსი ცოტა.

მურმან ლებანიძე კლასიკოსია.

მისი შემოქმედება გამორჩეულია ეროვნული ძარღვის გამძაფრებული ფეთქვითა და მომხიბლავი პოეტური სახეებით, მოდულაციებით.

მ. ლებანიძისთვის თავიდათავია მოყვასის სიყვარული. ხელს გადაგზავნის თუ გსაყვედურობს, ყოველთვის გულით შენთანაა, სურს აგამაღლოს. ამიტომაც ვამბობ, იგი მეკვლეა და არა თანამგზავრი.

„შენ ხარ პოეტი —
ფიქრი გმართებს და მსოფლიობა,
არ დაამადლო,
პოეტო, ფიქრი
შენს მტერ-მოყვარეს,
შენს საბრალო კაცობრიობას“.

არ კმარა იმის თქმა, რომ მ. ლებანიძე საქართველოს, მზის და მიწის, საერთოდ, სიცოცხლის მომღერალია. აუცილებელია იმის ხაზგასმაც, რომ ყოველივე ამას ძალზე ორიგინალურად, საშური ოსტატობით ამჟღავნებს.

ერთ შემთხვევაში პირდაპირი გაცხადება მძლავრობს. ისეთი შთაბეჭდილება გექმნება, თითქოს გრძნობა აზრჩობს

და უსწრაფესად თუ არ განთავისუფლდა მისგან, დაიღუპება. ამიტომაც მრავალფეროვანი პოეტური სამკაულებისათვის დრო არ რჩებაო.

„ლხინში — ავხირდები,
ჩრდილში დაგიდგები,
ჩემთვის ვაჩხაკუნებ
ფანდურს, სანატრელო;
ჭირში — დაგიტკბები,
ბევრს არ დაგპირდები;
ფეხზე დაგიდგები,
ჩემო საქართველო!“

დიდი გრძნობის სადად გამჟღავნების კლასიკური ნიმუშია.

სხვა შემთხვევაში საგანთა პროექტირება იწევს წინ და მათგან მომდინარე შთაბეჭდილება ხმიანდება. იმგვარი დეტალებით შერჩეული, რომლებიც არა მხოლოდ შენთან, არამედ წინაპრებთანაც არის დაკავშირებული. ისინი ვიზუალურადაც მომხიბვლელია.

„უკვე ჩავლილია
შემოდგომა წითელ-ყვითელი,
წვერზე შერჩენილი
მზუტე ნიგოზს ნიავი არხევს,
კაკლის ხე შუკას
გადმოჰყურებს შიშველ-ტიტველი,
გდია ჭოლოკი —
ჩაუვლიათ სკოლისკენ ბალღებს.

თავს დასტრიალებს
ბელურების გუნდი ნალიებს,
მშვიდობა ირგვლივ,
გარინდულა ყანაც და ტყეცა;

ჩლიქის ნადგომში
ნაწვიმარი წყალი დალიეს
და, როგორც წესი,
მიაჩერდნენ ქათმები ზეცას".

მ. ლებანიძის ნაწარმოებები წმინდა ლექსმეტყველების, ვერსიფიკაცია – სტრუქტურის თვალსაზრისითაც გამორჩეულია. თავად ბრძანებს და სამართლიანადაც: „საქართველოში თუ ვინმემ რიტმიკა და პოეზიის ორკესტრირება იცის, ვიცი მეც".

მან შემოგვთავაზა მოკლე სტრიქონის შემდეგ გრძელი სტრიქონი, რაც ორიგინალურ რიტმს ქმნის.

მ. ლებანიძის ლექსთა დიდი ნაწილი აგებულია კლასიკური მოდელის მიხედვით, როცა ამბავი მძლავრობს და ფაქტთა ფიქსაცია თუ განწყობილების განფენა ლოგიკური თანმიმდევრობით ხდება.

ხშირად იყენებს რეფრენს. გავიხსენოთ, თუნდაც, „უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი" ან „შენ გიტოვებ, ეს ქვეყანა შენია!" ამ გზით ექსპრესიულობა მატულობს და მახვილის ფუნქცია ძლიერდება.

მ. ლებანიძის საყვარელი ხერხია შეპირისპირება, თანაც არა მოკვეთილი, არამედ გაშლილი. ორივე მხარე თითქმის თანაბრად არის წარმოჩენილი და დასკვნაც ძირითადი ნიშნების საფუძველზეა გამოტანილი. ამ მხრივ ტიპურია „ბულბულს მირჩევნია შაშვი".

ხსენებული ხერხის ვარიაციულობით ფართო პანორამის წარმოსახვისა და ჩანაფიქრის დამაჯერებლად გამოკვეთის საუკეთესო შესაძლებლობა ჩნდება.

ერთხელ კიდევ გადავიკითხოთ „ლექსის მწერალი ხშირდება..." ქართული პოეზიის გრანდები მსჯელობენ იმის თაობაზე, თუ პირველ რიგში რა მოეთხოვება მგოსანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„თავისთვის იჯდა ჩრდილში.
არას იტყოდა ანა...
— ნიჭი, ძამიკო, ნიჭი! —
გალაკტიონმა ბრძანა“.

სხვათა შორის, მ. ლებანიძის ნაწარმოებებიდან საგანგებოდ უნდა გამოვყოთ გალაკტიონისადმი მიძღვნილი ლექსების ციკლი. პოეტთა მეფის მსგავსი შთამბეჭდავი პორტრეტი ჯერ არავის შეუქმნია.

იმასაც დავსძენ, რომ მ. ლებანიძე თავის უპირველეს მასწავლებლად სწორედ გალაკტიონს მიიჩნევს. ერთგან მიუთითებს: „ეს წიგნი დაწერილია პოეტის მიერ, რომელმაც თუ რამ საიდუმლო იცის, ოთხი მეხუთედი გალაკტიონისაგან და მხოლოდ ერთი მეხუთედი — დანარჩენი მსოფლიოსაგან“.

მ. ლებანიძისათვის უცხოა ფორმის აღზევებისათვის შინაარსის გაწირვა. მეტსაც ვიტყვი: მკაფიობისა და სინათლისათვის ზოგჯერ პუბლიცისტურ ჩარევასაც არ გაურბის.

ნაღდი პოეტი მხოლოდ ლექსით როდი იცნობა. პროზასა, კრიტიკულ წერილებსა თუ დღიურებშიც ვგრძნობთ მის გამოხედვას. იგი, უპირველეს ყოვლისა, პირუთვნელი მოქალაქე უნდა იყოს, სიწმინდისა და ობიექტურობისათვის მებრძოლი ბატონი მურმანი დიახაც ასეთია. საკმარისია გადაფურცლოთ მეოთხე ტომი, რომ ეს მეყსეულად გაცხადდეს.

* * *

1986 წლის 11 იანვარს ვახტანგ ჯავახაძემ მიგვიწვია: მურმან ლებანიძე, ბესიკ ხარანაული და მე. სერობა ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული, როცა ბატონმა მურმანმა გამიხმო:

— ამ ბოლო დროს ხშირად მესიზმრება გალაკტიონი. ტანჯულის სახე აქვს რაღაცას მთხოვს. გავთავდი კაცი. ცხვარი უნდა დავუკლა სულის საოხად.

შევთანხმდით, გაზაფხულზე ჭყვიშში შევიკრიბებოდით. და აი, 3 მაისს ბატონი მურმანი და ქალბატონი ელენე რამდენიმე მახლობლით სოფელში მესტუმრნენ. ვახტანგ ჯავახაძეც ვაუითურთ ჩვენთანაა.

რიტუალი ყველა წესის დაცვით ჩატარდა. მღვდელი, ლოცვა, სანთლები და ა. შ. იმ დღეებში ხვაშიადის გამხელაც იყო და მრავლისმთქმელი გაყუჩებაც, პოეზიით ტკბობა და ფილოსოფიური განსჯანიც, თავახდილი ზანდუკიდან უძველესი ფოლიანტების ამოსუნთქვა და გალაკტიონის დედის დღიურებით გაოგნებაც.

პირველ საღამოს ბატონი მურმანი ცოტას სვამდა. არც მე ვგულბაათობდი. შუა პურობისას გადავუჩურჩულე:

— ეკლესიის ეზოში ხომ არ გადავსულიყავით?

ბიჭოია ტაბიძე ხელადითა და ჯამით მოგვყვება. წინაპართა საფლავებთან ქვებზე ჩამოვსხედით. უსიტყვოდ წავუქციეთ. ვდუმვართ და მთვარის რონინს თვალს არ ვაშორებთ. მერე, როცა ღამის დედოფალმა ცაცხვის კენწეროზე ჩამოიხრჩო თავი, სუფრას დავუბრუნდით.

დილით ბატონი მურმანის სულში ჩამწვდომი მზერა და...

— გაფიცებ ძმობას, გახსენი ფრჩხილები. რა ჩაიფიქრე წუხელს? მართლა გრძნობ მთვარის მაგიას?!

გავყუჩდი, რადგან თავიდათავი პასუხი კი არ იყო, არამედ კითხვის დასმა, რომელიც მის პოეტურ ბუნებაზე, უჩვეულო ასოციაციებსა და ორიგინალურ წარმოსახვაზე მიმანიშნებდა...

* * *

არსებობს შემოქმედის ორი ტიპი. ერთი — ამოვარდნილი ყოველდღიურობის რიტმიდან; თხემით ტერფამდე გამორჩეული, ცხოვრების ნირითაც ბოჰემური. მეორე — რიგითი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკვდავის ნიღბით მოარული, არაექსცენტრიკული, ხაზგასმით ყურადღებიანი და მზრუნველი.

ორივეს ღვთაებრივი ცეცხლი უღვივის, ორივე ღმერთთან მოსაუბრეა, ორივე დიდ ტაძარს აგებს.

პირველის განსახიერება გალაკტიონია, მეორის □ მურმან ლებანიძე.

ნოდარ ტაბიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გეჩგეგი უფენობას!

ანაზდად ღრუბლიდან მოისმა ძახილი:
– „სამოცდამეცხრამეტე წელინადს შეები,
რას იქმს, მამაჩემო, ლექსი და სახელი,
რაფრად დიან
მოწამლული შენი დღეები?!“

– „ფეხს ვუწყობ, შვილო ჩემო, ცხოვრებას ოხერს,
არ გავლოთებულვარ, ვერც გეტყვი უსმელობას...
თავი ვერ მოვიკალი! ვთამაშობ პოკერს,
ვიგონებ საქმეებს და
ვეჩვევი უშენობას...“

ვარდისფერ ღრუბლიდან კვლავ მესმა ძახილი:
– „მწვავდა მანდ, მამაჩემო, სიმღერა ცხრაპირული,
მწვავდა მანდ ათასობით ვნება და სახმილი,
აქ მარადისობაა –
წყნარი და სტაბილური!“

„მარცხენა უჯრაშია მანდ ჩემი ქონება,
არ მითხრა, არ მაკადრო, პოეტი არა ხარო!
შენ სხვისი ლექსების გჩვევია სწორება, –
გახსოვდეს,
ჩემს ლექსებს თითი არ დააკარო!“

„კარგა ხანს იომე და კარგა ხანს იბოგინე,
კი არ გსაყვედურობ, აქედან გეფერები...
ოთხმოცდათხუთმეტი წელი იმყოფინე, –
მანდაურ ლაჟვარდებს
ნუ გამოეკერები“!

– „ფეხს ვუწყობ, შვილო ჩემო, ცხოვრებას ოხერს,
არ გავლოთებულვარ, ვერც გეტყვი უსმელობას,
ვიგონებ საქმეებს, ვთამაშობ პოკერს,
ვეჩვევი სიკვდილებს და
ვეჩვევი უშენობას!“

2000.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ქალბატონ გულიკო ჩაფიძეს

თქვენს ტურფა ქსენონს,
        თქვენს მტრედისფერ ძვირფას პალატებს
თქვენივ სინათლე,
        თქვენივ გულის შუქი ანათებს...

გული მჭირდება...
        ქალბატონო, მე ვარ პოეტი,
გულს უჭირს ჩემსას,
        გული მტკივა, – თქვენთან მოვედი...

თავს მევლებიან
        სასიცოცხლო ცეცხლის ღვარები,
თავს მევლებიან
        მშვენიერი თქვენი ქალები...

თქვენს ტურფა ქსენონს,
        თქვენს მტრედისფერ ძვირფას პალატებს
თქვენივ ნათელი,
        თქვენივ გულის შუქი ანათებს.

გიკოცნით თითებს!
        გეფერებით! გადიდებთ! გაქებთ!
ერთ ბედქვეშა ვართ,
        ჩვენ შვილების სიკვდილიც ვნახეთ...

ან ჩემს საფიქრალს
        თქვენზე ფიქრიც მიემატება...
მივალ, მიმყვება
        მოწყენილი თქვენი ხატება!

2000.

* * *

ყველა თავის ჯამს
ჩასცქერის და ცბიერია,
ოცი კაცი – ჭამს,
მილიონი მშიერია!

შავზე იტყვის შავს,
ვინც კაცი და ძლიერია,
ოცი კაცი – ჭამს,
მილიონი მშიერია.

სწყევლი დროს და ჟამს,
ივერია! ივერია?
ოცი კაცი – ჭამს,
საქართველო – მშიერია.

2000.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

– ამას შენც თუ გკადრებდნენ, ეს ვერ წარმომედგინა, –
ქვა გესროლეს, მურმანო,
გეწყინა თუ გეტკინა?!

– წიხლი იყო სახედრის, რის ქვა – არცა გრცხვენია!
ბრიყვი პირუტყვისაგან
წიხლი – რა საწყენია!

– შენც თუ გაგიბედავდნენ, ეს ვერ წარმოგვედგინა,
– შენს
მაგივრად გვეწყინა,
გვეწყინა და გვეტკინა!..

– შხამიანი დღეები, თვეები და წლებია, ჩვენს მტერს
სამტროდ
  თახსირი დაუგუნებებია...
არ შეშინდე, მურმანო,
იქ, წინ –
საუ-კუნე-ებია!!!

1999.

* * *

(იუმორესკა)

ყველაფერი აირია,
სხვა ხალხია,
სხვა ერია!
მე თუ მკითხავ,
რაღაც იწვის,
იმნაირი ჰაერია...
მაგრამ –
არაფერი მსგავსი!
რომ არ შიათ,
არ სწყურიათ,
თურმე ჩვენი
ცოდვით სავსე
პარტიების ფაფხურია.
პარტია გყავს
წყნარად ორი,
სხვა ოთხმოცი –
მართულია!
საარჩევნო მარათონი
დაწყებულა –
ქართულია!
ვხედავ აშლას,
ვხედავ დაშლას,
ცხრა ფრთის
გაერთიანებას,
რამდენიმე კაცის ჩაჭრას,
მტრებთან გაერთიანებას...
ყველაფერი აირია,
სხვა ხალხია,
სხვა ერია,
მე თუ მკითხავ,
სახლი გვეწვის,
იმნაირი ჰაერია.
ვხედავ კაცებს,
ვხედავ ვაცებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვხედავ
ნასუქ ყაზირალებს,
პარლამენტზე
სავეზიროდ
მიმიზნებულ
ნაძირალებს.
მწვანე ფულით
დიდგულობენ,
ვცნობ ქურდებს
და ვეჭვობ მსტოვრებს,
„ვის მივცეთო?!“ –
კითხულობენ,
დაათრევენ
სავსე ტომრებს...
ეს მწერლობა
ხმას არ იღებს,
ხომ ნამდვილად
ღარიბია,
აქ არავინ არ იფიქროს,
რომ პოეტი „არიფია!“.
ყველაფერი აირია, –
სხვა ხალხია, სხვა ერია,
აქ არავის არ ეგონოს,
რომ მწერლობა –
„ფრაერია!“.
პარლამენტში
ვინც ჰყავს, რაც ჰყავს,
ხედავს,
სუყველაფერს ხედავს,
სულში აფურთხებენ
საწყალს,
გასაბედავს
ესრეთ ბედავს:
ჯერჯერობით
ხმას ვერ იღებს,
გულში...
იგინება დედას!

1999.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლამობს ყოველი...

ლამობს ყოველი,
ვინც მოექცა ამ კაცთან ახლოს,
მოიგოს რაღაც,
სარგებელი პირადი ნახოს...

ვთქვათ, მინისტრობა, –
თაფლით კასრი, შარბათით კოკა!
გუბერნატორის,
ქვეყნის ელჩის, მრჩეველის ტოგა!

ლამობს ყოველი,
ვინც აღმოჩნდა ამ კაცთან ახლოს,
გამორჩეს რამეს,
სარგებელი პირადი ნახოს...

კი, პირადულზე
ვის დაუდევს ან როდის ტაბუ?!
მაგრამ – ციც! ფრთხილად! –
იმახსოვრებს ყველაფერს „ბაბუ“

და, თუ ვიქეციით
ხვეჭად, გლეჯად, ხვნეშად და ჭამად,
ერთ მშვენიერ დღეს
ამოგვადენს ყველაფერს შხამად...

ლამობს ყოველი,
ვინც მოექცა ამ კაცთან ახლოს,
მოიგოს რაღაც,
გამორჩენა პირადი ნახოს!

1999.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუდაქი იტყვის...

პოეტზე იტყვის, –
ჯამი იტყვის, ფეჰლევი იტყვის,
რუდაქი იტყვის, –
სიტყვასიტყვით ამასვე თითქმის:

– შორიდან სალმით
შენს ხელმწიფეს დასდევი ფასი –
კაცია ისიც –
მაგრამ მაინც ქვეითად გასწი!

არ შეგეშალოს,
არ გაბრიყვდე,
არ იყო ბავშვი –
არამც და არამც
არ ჩაუჯდე
ხელმწიფეს ნავში!

ვთქვათ, გაწყრა ღმერთი.
ქარაშოტმა დაჰბერა ავმა.
მიემსხვრა მეჩეჩს,
ანუ ზღვაში დაყვინთა ნავმა.

იტყვიან ერთნი:
„აეკიდა ხელმწიფეს გზაში.
ვერ უვაზირა –
ვაზირობა იცოდა ნავსი!“

იტყვიან სხვანი:
„უყვარდაო ლიქნი და ტაში!“
შენ დაგბრალდება –
ჩავარდები დუნიის ყბაში...

ეროვნული ბიბლიოთეკა

K266.086
3

არ შეგეგეშალოს,
არ გაბრიყვდე,
არ იყო ბავშვი –
არამც და არამც
არ ჩაუჯდე
ხელმწიფეს ნავში!

ხოლო თუ დაცხრა,
ვინც დღეებში ქარიშხლებს ურევს,
ნავმა მშვიდობით
მიაღწია დიდების ყურეს. –

დიდებას დიადს.
არ გაბრიყვდე, ხელმწიფე ჰპოვებს.
ხელმწიფის ჩრდილში
მოგიხდება დადგომა პოეტს...

კვარცხლბეკზე მდგარიც
და ქარიშხლით წყალწაღებულიც –
ასეც და ისეც –
ხალხის თვალში ხარ წაგებული!

მაშ, გასწი ფეხით!
პურს გიწვდიან ჩანგში და თარში!
სვი ხალხის ღვინო –
ხალხის შვილი ხალხადვე დარჩი!..

არ შეგეშალოს,
არ გაბრიყვდე,
არ იყო ბავშვი –
არამც და არამც
არ ჩაუჯდე
ხელმწიფეს ნავში!

1979

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

გათენდა სოფლად...

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხო კაცები
        უპატრონო ყანას თიბავენ,
აქ, ჩემს მამულში,
        ხეხილები არას იბამენ...
არ ვიცი, მსხლები
        რას სწუხან და მგლოვიარობენ,
რომ ესე ცუდად,
        ასე ძუნწად მსხმოიარობენ...
ჰა, თეთრი ბლები!
        (ვერ ვესწრები კვაშხიეთს ბლობას!)
ჰა, მწარე ბლებიც!
        (ვუპირებდი მე მაგათ მყნობას!)
ჯუჯა ვაშლები,
        კეხურები ხმება წახრილი,
მეც ვბერდები და
        ჭანჭურებიც ჩემგან ჩაყრილი...
ფიქრია ამბობს:
        „არ დაგყვაო შენ ნიჭი გლეხის –
გამოხშირვა და
        ახლის ჩაყრა სჭირდება ხეხილს!“
გათენდა სოფლად...
        აივანზე ზაზაც გადმოდგა,
საინტერესო,
        საქმიანი აზრი გამოთქვა...
რა ვუთხრა ამათ!
        მე რომ ვიტყვი, ძველისძველია,
ჩემი პასუხი
        კაი ხალხურ ლექსში სწერია:

„მე ჩემი კალო გავლეწე,
გადავაყენე ხარები...
აეხლა – თქვენი ჯერია,
ოფლის ადინოთ ღვარები!“

1999.

* * *

ელიზბარ თოდაძეს

შვილიშვილს ბაბუის დაარქვეს სახელი,
ბიჭუნას ელიზბარი ერქვა...
მოეთრა სიკვდილი, თვალებ-დასათხრელი,
და მხარი მოსტეხა ძელქვას...

იყო დღე – წყეული ყვავ-ყორნის ჩხავილით,
იყო მზე – დამხრჩვალი ღრუბლებით, შავით,
ტონობით, ტონობით, ტონობით ყვავილით,
პაწია, სამუდამო ნავით...

ყმაწვილის სამარეს ანვიმს,
ჩაქრა დღე – ვაის და ვიშის...
იყო ყრმა – კაცური კაცის,
ელიზბარ თოდაძის ჯიშის...

ჩადიან, ამოდიან მზეები,
ბნელდება, თენდება გვიან
და დიან უსულგულო დღეები
და ამას ცხოვრება ჰქვია...

და დადის ბაბუა ელიზბარი,
საწუთროს ნისლსა და ბურში,
პატარა ელიზბარით, პატარა ელიზბარით,
პატარა ელიზბარით გულში!

1999.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ამიღებთ,
        წამიღებთ, დამფლავთ, –
არაფრის
        თან არ ვარ წამღები, –
თქვენ რჩებით! –
        შეგერგოთ თაფლად!
შაქრად თქვენ –
        წუთისოფლის ბაღები!

1999.

76 წლის ჭაბუა ამირეჯიბს 75 წლის მურმან ლებანიძისაგან

დავბერდით, ჭაბუა,
ვართ დაჩეხილ-დაკერებული,
ვართ შავ დღეში და
ვართ ნამდვილად დაბერებული,
თეთრი დღეები
გვაქვს კაი ხნის დამღერებული...

მთელი ცხოვრება
ერთ ნაბიჯზე ფეხდაფეხ მოგდევ,
ძმობის, ერთობის,
სიყვარულის ქამანდი მოგდე...
არ გაბედო,
თუ ძმა ხარ, მოკვდე!

მოვხუცდით, ჭაბუა,
ვართ დაჩეხილ-დაკერებული,
ვართ ფაიზაღად,
ვართ ნამდვილად დაბერებული...
მტრისთვის თვალი გვაქვს,
მე თუ მკითხავ, დაყენებული!!!

1997.

* * *

ჩვენი დრო გათავდა! ან შენ წახვალ, ან მე გაგასწრებ,
გაჩნდება სანანური: ადამიანურად
ერთ-ერთ ჩვენგანს ცუდი დღე დაადგება,
აქტუალური, საჩოთირო დაისმის კითხვა:
ვის უნდა გადაედგა ნაბიჯი ვისკენ?!

ვის უნდა ეთქვა: – „გამარჯობა, ჩემო ძამია!
რაღაც ვერ გატყობ დიდ სიხარულს დროის ცვალებით!
მოსწი ეგ შუბლი! მო, მოგბანო გამხმარი სისხლი!
რას იქმ?! რას შვრები?!
რით იმოკლებ მოწყენილ დღეებს
ჩვენს დამარცხებულ,
ჩვენს მოწამლულ
მთვრალ სამშობლოში?!“

მე შენ გაჯობე! – შენზე უკეთ არავინ იცის!
რა აზრი აქვს ჩვენს შორის ჯობნას!
დამარცხებულ ორ მებრძოლს შორის
გამარჯვებული – არ ვზეიმობ ამ გამარჯვებას!
მე შენ გაჯობე! – საქართველო მეწადა ჩვენთვის,
შენთვის და ჩემთვის,
თვისტომისთვის, ჩვენი ჯიშისთვის!
სულაც თავისთვის – ჩვენს შემდგომად და ჩვენს
გარეშე,
სულაც უჩვენოდ – უზენაეს მშვენიერებად...
შენ – საქართველო გინდოდა მარტოს!
გინდოდა მარტოს საქართველო საკუთრივ შენთვის –
ფუჭი, ამაო,
გუდაფშუტა დიდებისათვის...

ვინ, ვინ უარყავ?!
ვის გაჰყევ და
ვის გვერდით
დადექ?!

სალაპარაკოს,
საკვლევ-საჩხრეკს ტონობით ვტოვებთ,
შთამომავლობამ, შვილთაშვილმა და, მის უმაღლეს,
უფალმა გაგვიკითხოს!!!

1997.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

მე არც ძველს ვუმღეროდი „ლალეს“ და
არც ახალს ვუგალობ „ჰარალეს“ –
მე რომ გამინათებს თვალებს,
ეს ის საქართველო არ არის!

მაგრამ საქართველო მოვა,
მე გული მხნეობას მავალებს,
გადივლის ღრუბლების ხროვა, –
ეს ხომ საქართველო არ არის!

სული სწუხს ჭუჭყიან ქარებს,
მკვდრადშობილ ოცნებებს ვალალებს...
მე რომ გამინათებს თვალებს,
ეს ის საქართველო არ არის!

1997.

* * *

მე დავბერდი და მე დავიღალე,
ამ სიბერეშიც ვერ გავიხარე;
ვის ვკითხო აზრი
ამქვეყნად თრევის, –
არ გამითენდეს ნეტავი ხვალე...

მე დავბერდი და მე დავიღალე,
თავისუფლებით ვერ გავიხარე...
მეც, მეც წავაგე
აფხაზეთს ომი
და შუბლში ტყვია ვერ დავიხალე.

1995.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

(იუმორესკა)

მინახავს კაცი ცხენზე შემჯდარი,
ჯორზე შემჯდარი კაცი მინახავს,
თვითონ ვყოფილვარ ბევრჯერ შემცდარი,
ჩემსაზე ვმდგარვარ, წყალი მინაყავს...
ამას ძმაკაცზე ვამბობ გულწრფელად, –
„მის უკეთესი დღესაც ვინა მყავს“, –
ამსიგრძე კაცი (ჩამოუსვლელად!)
ვირზე შემჯდარი ჯერ არ მინახავს.

1995.

ჩეჩნეთი

ჰგავს დღეს ჩეჩნეთი მარტორქას შეშლილს,
ეს კოღო-ბუზი დიდ რუსეთს ერჩის, –
ვინ, ვინ შეჰბედა სხვამ რუსეთს რჩოლა –
ვაი, სირცხვილო! – შური მჭირს ჩეჩნის!
დასსუქებიათ – ჩვენს კაცებს გავა,
მჩხავანა კატა – ყასიდად სჩხავა,
არა მგონია, წავიდეს ომში,
ეგ დილის ხაშზეც საღამოს წავა...
კი, კბილის მატლი რუსია ჩეჩნის,
კი, ხიშტს კაზაკი გულ-ფილტვში შესჩრის,
ხომ ჩემი სისხლი ჩეჩნებმა ხვრიპეს, –
რაც გინდა თქვი და, შური მჭირს ჩეჩნის.
ჰგავს ეს საჩეჩნო მარტორქას შეშლილს,
კოღო-ბუზია და ვეშაპს ერჩის...
ვაი, სირცხვილო! – დავითის პატრონს,
ერეკლეს პატრონს – შური მჭირს ჩეჩნის!

1995.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

წიგნი, რომელიც ანათებს
        და მზის ამოსვლის დარია,
ღამეს მკითხველთან არ ათევს,
        წაუკითხავად მკვდარია...
დგას კაცი, ფიქრით ყვითელი,
        ვიტრაჟს ჩასცქერის... ქარია...
მაგ წიგნის ნაღდი მყიდველი
        უგროშ-კაპიკოდ მჯდარია...
ეგ საქმე აგრე ვერ ივლის!
        სანამ მზე, სანამ მთვარეა,
კლასიკურის და ვერლიბრის –
        ეს საქართველო მხარეა...
ჩვენ ჩვენი ზვრები შევსაროთ,
        ხვალ-ზეგ კვლავ ლექსის დარია,
ჩემო გივო და ემზარო,
        ჩემო ვახტანგ და ტარია!

1995.

* * *

მე რომ მეგონე, თურმე ის არ ხარ,
ღალატიანო, ყრუვ და მკვეხარავ...
აღარ მიყვარხარ, აღარ მიყვარხარ,
აღარ და აღარ, ჩემო ქვეყანავ!

უმარტივესი დაგიგეს მახე,
კი, უაფთრესი შემოგეყარა...
რა აბდაუბდა ორ-სამ წელს ჩმახე, –
აღარ მიყვარხარ, ჩემო ქვეყანავ!

ამას რომ გკადრებ, გულს სისხლი სწვეთავს,
კი, ცოცხალი ვარ ვითომ ჯერხანად,
ღმერთი ხომ ხედავს, ღმერთი ხომ ხედავს,
მუხლზე ტირილით გეხვევი დედას –
„აღარ მიყვარხარ“,
ჩემო ქვეყანავ!

1994.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ ჭაგჭაგაძის სურათზე

შენ
საღმრთოს ჰკრებდი ლაშქარს,
ბნელში ანთებდი კვარს,
თავს დაირქმევდი ჩაჩქანს,
შენ სპა გეხვია გარს.

ქარი მიჰქონდა დროშას,
დროშა მიჰქონდა ქარს,
ან კითხვისნიშნად მოსჩანს, ვის ემსხვერპლე და რას...

იწყებდა ნიჭი კაშკაშს,
ძვირფასს შვენოდა გვარს, –
დიდბუნებოვანს, ვაჟკაცს
მარლი გესროდა ქვას...

1994.

* * *

გრიგოლ აბაშიძის ხსოვნას

ვერ აიტანა გრიგალი,
სამშობლო თვალებდათხრილი,
წავიდა ჩემი გრიგოლი – კაცი ხმატკბილი...

დაცარიელდა – სკამი, დაცარიელდა – ადგილი,
გულში დაგუბდა შხამი –
წავიდა კაცი ხმატკბილი...
. . . . . .

კი, აქ ყოველი ფუჭია,
მანდ არის, თუკი რამეა,
მანდ ხეივნები ლურჯია,
დაფნებქვეშ გრძელი სკამია,
საფიხვნოთ, სალაპარაკოდ
მანდ გრძელი თეთრი ღამეა...
მანდ შევხვდეთ,
მანდ დამელოდე,
ჩემო უფროსო ძამია...
. . . . . .
ვერ აიტანა გრიგალი,
სამშობლო თვალებდათხრილი,
წავიდა ჩემი გრიგოლი – კაცი ხმატკბილი...
დაცარიელდა – სკამი,
დაცარიელდა – ადგილი...

1994.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

დავითს გადმოჰყავდა ოსეთზე ყივჩაღები –
ორმოცი ათასი ოჯახი დათვლით, –
ოსებმა უპასუხეს ქარქაშში ხმლის ჩაგებით, –
ყივჩაღი გაატარეს
დავითის ხათრით...

კი, გეამაყებათ თქვენც თქვენი დროშების,
კი, სისხლის ყივილი ჩვენ-ჩვენი გვათრობს, –
სად იყო იმხანად ქვეყანა ოსების, –
ეგ თქვენი ირისტონი,
სად იყო ამ დროს?!

ოსების ნახევარი დღეს ჩემს სახლ-კარშია,
იმ საუკუნეში, თორმეტში რიგით,
იყო საოსეთოდ ჩრდილოეთ კავკასია, –
ესახლეთ –
დარიალს იქით...

ჩვენ თქვენგან დაპყრობილი აროდეს ვყოფილვართ,
გავჩხრიკოთ წარსული – გისმენთ!
ჩვენ გულუბრყვილობით საქვეყნოდ ვცნობილვართ,
ჩვენ შეგიფარეთ და –
გიძმეთ...
დავითს გადმოჰყავდა ოსეთზე ყივჩაღები –
ორმოცი ათასი ოჯახი დათვლით, –
ოსებმა უპასუხეს დავითს ხმლის ჩაგებით, –
ყივჩაღი გაატარეს
დავითის ხათრით...

1994.

* * *

ბურთი! ბურთი! ბურთი მიწის,
მიწის ბურთი ნაწილდება...
ვაჰმე, აფხაზეთი იწვის, –
თეთრ დათვს –
შავი ზღვა სჭირდება...

უკვე – კელასურიც იწვის,
ცხუმს – ბეტონი ნახშირდება...
ზეცა იწვის, მიწა იძვრის,
თეთრ დათვს –
შავი ზღვა სჭირდება...

ბევრი სისხლი გაწვიმდება,
ბევრის დედა ატირდება,
ჩეჩენს ზღვას ვინ მიაქვავებს,
თეთრ დათვს –
შავი ზღვა სჭირდება...

ბურთი! ბურთი! ბურთი მიწის,
მიწის ბურთი ნაწილდება...
ვაჰმე! – საქართველო იწვის,
თეთრ დათვს –
ჩვენი ზღვა სჭირდება!

1993.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

გასჭირვებია
ხალხად ჩვენი ცნობა ევროპას,
ვაი, სირცხვილო,
ავად ხართო, როგორმე მორჩით! –
შვიდასი წლის წინ
პატივს სდებდნენ ქართულ მხედრობას
ერუშალაიმს
შევდიოდით გაშლილი დროშით!

1992.

ყვარყვარე □ პარლამენტში!
ყვარყვარე □ დაბა-სოფლად!

ჩვენი დღეების ქარში, –
ვწუხ, რომ აუგი დამცდა, –
ამ ჩვენს მთასა და ბარში
უხვად ყვარყვარე გაჩნდა.

ზეობს ყვარყვარე, მხნეობს
ბარე თხუთმეტი მასტის,
ერისთაობას რჩეობს,
ითხოვს და კიდეც გასდის.

ამბობს: „ბითური ხვარ ვარ,
მინისტრის ტოგა მაცვით!
თქვენს მიტინგებზე ვმდგარვარ –
პრეფექტად მაინც დამსვით!“

ყვარყვარე – პარლამენტში!
ყვარყვარე – დაბა-სოფლად!
ყვარყვარე – საფრანგეთში
ელჩის ნამდვილის მჯობნად!

ჩავაჟღრიალებ ფანდურს,
ვიტყვი: „უშვერად მოხტით!“
ჩვენს მოძრაობას ქართულს
ვკადრებ ბოდიშის მოხდით:

– მწარეა, იდგეს ომში
კაცი, ჩრდილივით ჩუმი,
სწამლავდეს სამშობლოში
გმირს
ყვარყვარიზმის ბუმი!

1991.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

თავი აიშვა პრესამ
        რევოლუციის ქარში:
კაცურ კაცს სთათხავს ქლესა,
        დებილი აჰყავთ ცაში.
კონიუნქტურულს, დამპალს,
        დამქირავებელს, ბეჩავს
და ცხრა მთავრობის კახპას –
        თავსლაფი მაგ თქვენს პრესას!
კიდევ კარგი რომ არის, –
        იყო და არის დღესაც, –
პრესა, იმედად ხვალის –
        წარბშეუხრელი პრესაც!
მაშ, გაუმარჯოს ასეთს, –
        სიტყვას და საქმეს ჩვენსას, –
თითო-ოროლა გაზეთს –
        ვერვისგან ნაყიდ პრესას!!!

1991.

სიმღერა

(იუმორესკა)

– 1 –

თოხს, ურոს, არშინს ვაჭრისას
იმპერატორის ხმალი სჯობს...

მისამღერი:

ყველა – თავისთვის ფაფხურობს!
ყველა – თავისთვის ჩალიჩობს!

– 2 –

ვაჭარს, ყაჩაღს და პრეზიდენტს
თავდაპირველად ქალი შობს...

მისამღერი:

ყველა – თავისთვის ფაფხურობს!
ყველა – თავისთვის ჩალიჩობს!

– 3 –

რაც შეეხება „მაგიდას“ –
ოთხკუთხს ერთის ხნით მრგვალი სჯობს...

მისამღერი:

ყველა – თავისთვის ფაფხურობს!
ყველა – თავისთვის ჩალიჩობს!

1991.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვიან გაგიღვიძეთ

გვიან გავიღვიძეთ – ბორბლებაშვერილი,
გადაბრუნებული ლაფში წევს ურემი...
საკუთარ სამშობლოში ობოლი ბავშვები ვართ,
სახლის პატრონობას ჩემობენ მდგმურები.

დროდადრო ლამის ტვინი ავასხა ცამდე, –
ეს ჩემი წყალ-ჭალა რომ მიაქვს, ვისთან მიაქვს!
მწადს თავი გავუპო პრიმიტივს ამდენს,
ზედ გადავუარო ამდენ ხისთავიანს!

გვიან გავიღვიძეთ – ჭიშკრები დაღებული!
(ტყემალზე თუ არა, ხომ ვსხედით ჭადარზე?!),
რის თავისუფლება – სამშობლო წაგებული,
მიწები დაყიდული ლეკზე და თათარზე!

ანაზდად სულს შესძრავს ყმუილი სისხლის,
სისხლი საკუთარი ანაზდად აყვირდება, –
საკუთარ სიგლახის მხილება გვიხსნის,
საკუთარ თვისტომის თავდაღმა დაკიდება!

გვიან გავიღვიძეთ – ბორბლებაშვერილი,
გადაბრუნებული ლაფში წევს ურემი...
საკუთარ სამშობლოში ობოლი ბავშვები ვართ,
სახლის პატრონობას ჩემობენ მდგმურები.

1990.

„ადამონ ნიხასს“, ყრილობას ლიხნის!

მე მინდა ვუთხრა „ადამონ ნიხასს“,
რომ თვისი ხალხი მცდარი გზით მიჰყავს,
და შევახსენო ყრილობას ლიხნის
კანონი ბრძნული –
სისხლის წილ სისხლის!

ოსო, შენ ვოლგის ზვირთი დაგიყეფს,
აფხაზეთთან ერთად ანდერძს აგიგებს...
ჩემი ლიახვი შენ არას გერჩის, –
დიდი მდინარე,
ოსო, წაგიღებს!..

ერთხელაც ვეტყვი „ადამონ ნიხასს“,
რომ დაღუპვისკენ თვისტომი მიჰყავს,
და შევახსენებ ყრილობას ლიხნის –
ჩვენს კანონს ურყევს,
სისხლის წინ სისხლის!

1990.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაფხული □ 1990

თბილისში ვარ, ივლისია,
        მზე, ასფალტი, მწველი ხვატი...
შორს ქვიშხეთი ჩრდილებშია,
        ქვიშხეთშია ჩემი რატი...

შიში – ქვეყნის მდგომარეების!
        ბაზარს – „ნეპის“ სუნი უდის!
ჯგლეთა – „არაფორმალების“!
        რიგი – ბენზინის და ლუდის!

მზე და ხვატი გვახვევს თავბრუს,
        დულს ასფალტი, ვწყევლით ზაფხულს;
მეჩქარება სექტემბერი,
        მენატრება ბიჭი ბაბუს.

ვინ – განზე ვართ! ვინ – შუაზე!
        ვინ – უკან და ვინ – წინ ვდგებით;
ვინ – „ჰოზე“ ვართ! ვინ – „უარზე!“
        დავიღალეთ მიტინგებით...

„მრგვალ მაგიდას“ ვხედავ ბაღში, –
        არ ჩამოვთვლი მაგათ გვარებს, –
აღარ მირეკავენ სახლში,
        აღარ „ვევასები“ მრგვალებს...

სპეკულანტებს ვთათხავ თახსირს,
        ბაზარს „ნეპის“ სუნი უდის...
რიგი – პურის, რიგი – ტაქსის,
        რიგი – ბენზინის და ლუდის!

1990.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ძალას დაატანს ეს რუსეთი დღეს თუკი ჭკუას,
        გაწითლებაზე
        მსოფლიოის
        იტყვის რა უარს, –
თავს დაანებებს დერჟიმორდულ ამპარტავნებას,
        სხვა ხალხებისთვის
        თითის ქნევას,
        ჭკუის სწავლებას,
მოეშვება რა სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფას,
        სხვის მიწა-წყალზე
        განსახლებას,
        ფესვის გადგმას,
        მოკლედ – დაპყრობას,
დაეტევა რა თავის სახლში და თავის ტყავში,
        ვინ გვეყოლება,
        თუ კაცი ხარ,
        ხვალ მაგის
        ფასი...
ძალას დაატანს ეს რუსეთი დღეს თუკი ჭკუას,
        გარუსებაზეც
        დღეს ჩვენსაზე
        თუ იტყვის უარს!!!

1990.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ჩქარობო, მითხრეს, ცხარობო, მკადრეს,
სული წინ გისწრებს, ბერდები, წახდი;
ხავერდოვანი იყავი ადრე –
პირში მთქმელი და პირქუში გახდი...

გახედე – ნამყოს!
გახედე – აწმყოს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახედე – მყობადს!
ჩასწვდი – საწადელს!
მე მინდა თქვენთვის!
მე მინდა თქვენთვის
ეს მდელოები
    მალე ამწვანდეს!

და თქვენთვის ჩქარობს ოცნება წმინდა,
ვჩქარობ, არ დამრჩეს მართლაც ოცნებად
მოუსწრებელის მოსწრება მინდა
და მელანდება სხვა საოცრება.

ვრჩები ერთგული
მე ჩემი ღმერთის –
ასე გამზარდეს!
ასე გამწალდეს!
მე მინდა თქვენთვის
მე მინდა თქვენთვის
ეს მდელოები
მალე ამწვანდეს!

ჰო, თორემ ჩემთვის რა მეჩქარება,
რა თავში ვიხლი მოგებას რამეს, –
უკვე დამქროლეს ზამთრის ქარებმა, –
რა გაანათებს ამხელა ღამეს!

თქვენი დღეები
ქვეყნისას ერთვის!
ჩემი დღეები –
დაე, გამწარდეს!
მე მინდა თქვენთვის!
მე მინდა თქვენთვის!
ეს მდელოები
მალე ამწვანდეს!

1970

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

„რას ერჩიო?!“ – კაცზე მკითხეს,
„რას და – ეს ქვეყანა წველა!“
„მოეშვიო!“ – ასეც მითხრეს,
ვუპასუხე: „ვერა!
მე რომ – ჭლექის მჭირდა ხველა,
შენ რომ – ჭლექის გჭირდა ხველა
და დროება შავფრთიანი
ყელს გვეხვია გველად,
მაგან – ეს ქვეყანა წველა,
მაგან – საქართველო წველა,
მაგას – მე ვერ მოვეშვები, –
დედაჩვენი წველა...“

„რას ერჩიო?!“ – ნაზად მკითხეს
„ხომ ვთქვი – საქართველო წველა!“
„შეეშვიო!“ – მკაცრად მითხრეს,
ვუპასუხე: „ვერა!“
გენიოსს რომ ქოხი ედგა,
ტახტზედ ეგო ნაბდის ძველა,
ეგ ხელმწიფის კაცად შედგა
და იქიდან გვზვერა...
მაგან – საქართველო წველა,
მაგან – დედაჩვენი წველა,
მაგას – მე ვერ მოვეშვები,
დედა – ძროხასავით წველა!“

1989.

* * *

სისხლის წვიმები ჩქეფენ, –
ვწუხ – ბლოკადებით, ალყებით
გვყეფენ, გვყეფენ და გვყეფენ,
იყეფებიან ხალხები.

ჰგავს ეს მსოფლიო ციხეს,
ვართ გულუბრყვილო ბალღები, –
ლამის – მსოფლიო გვიყეფს,
გვიყეფენ „მოძმე ხალხებიც“...

ვახ, ხვალევ, არცთუ ნათელო,
ჩემო ეჭვო და შიშო!..
ამაღლდი, ხალხო ქართველო!
გამაგრდი, ჩემო ჯიშო!

1989.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

თეა-თეონა-თეო,
        დღეს შეგისრულდა კვირა,
ჩემო პატარა მზეო,
        თეა-თეონა-ცხვირა!
შობილი ერთი კვირის
        თეა-თეონა ჭყივის...
დიდ ცხვირს გწამებენ, ბაბუ,
        ჭირიმე შენი ცხვირის!
გარეშე ზრუნვის, ყალბის,
        ზაზა ეტლისთვის გარბის...
ჭირიმე შენი ცხვირის,
        წარბზე წაბმული წარბის!
კი, ვაჟი მწადდა ბაბუს, –
        ვარ ანგელოზზე ყაბულს,
ფაციფუცშია ბებო,
        საბნებს გიკერავს ფაფუკს...
რაც შეეხება ჩემს გულს, –
        დღეს შენი შუქით ბრწყინავს,
შენთვის დავუვლი ლეკურს,
        გინდა, გადავალ ყირას!
თეა-თეონა-თეო,
        რაც გაჩნდი, ხდება კვირა,
ჩემო პატარა მზეო,
        თეა-თეონა-ცხვირა!

1988.

* * *

პოეტიაო,
ჩემი ქმარი, – ხალხში რომ იტყვის, –
არათუ რისკი,
სიბრიყვეა ქალისგან თითქმის...

საქართველოში
ამაღამდელ ახალწლის ღამეს,
ორ-სამ ქალს ექნეს,
დიდი-დიდი უფლება ამის!

ეს გაუმარჯოს,
გაუმარჯოს იმ ორს თუ სამ ქალს,
ვინც დაყაბულდა
ღარიბ სადილს და ღარიბ სამხარს

და ქმარს, საკუთარს,
ორთავ თვალი კი არ დასთხარა,
არ აბჟუტურა
და სიგლახე არ ატატყანა, –

გამოატარა
ათწლედები რჩეულს კაცურად
ბეწვის ხიდზე და
ხალხს პოეტი შეუნარჩუნა...

მაშ, გაუმარჯოს,
გაუმარჯოს იმ ორს თუ სამ ქალს!
მას მერე – კაცს და
კაცის შუბლზე პოეტის დამღას!

1985.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

არ დაცემულა
        საქართველო იმრიგად ჯერეთ, –
იხილო მსგავსი
        და არ წაგსკდეს
                ცრემლები ღელედ.

ბაზრის ჭიშკართან,
შავით მოსილს – დღე იყო ჭრელი –
შვილების ჯიბრზე
გაეშვირა დედაკაცს ხელი.

ბრინჯაოს მაჯა
და დაჭმუჭვნილ ღაწვებზე სითხე...
„დედი, ვინა ხარ?!
ქართველი ხარ?!“ –
ტირილით ვკითხე.

ის იდგა მკაცრი,
წარბშეკრული და შიშის მგვრელი –
შვილების ჯიბრზე
გაეშვირა დედაკაცს ხელი...

„მაინც, ეგ როგორ!
რა შეგემთხვა, რა მოხდა, დედი?!“
„სიკვდილი, შვილო! –
სთქვა გოროზად, –
სიკვდილზე მეტი!“

„ხუთი დავბადე,
ხუთი ჭრელი დავზარდე გველი...“ –
შვილების ჯიბრზე
გაეშვირა დედაკაცს ხელი...

არ დაცემულა
საქართველო იმდენად ჯერეთ, –
იხილო მსგავსი
და არ წაგსკდეს
ცრემლები ღელედ.

1980

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

„არ იყავიო
ვაჟას დღეზე ამ ზაფხულს ჩარგალს?!“ –
ვინ, ვინ მიბედავს?! –
ხელფასს იღებს ეს კაცი მაღალს

მხოლოდ იმაში,
რომ ესწრება თავშეყრებს ჩვენსას,
გვადევნებს თვალყურს,
მწერლუკანა მწერლობას მწყემსავს...

მე წამოვწითლდი
და ხელახლა გავთეთრდი რისხვით:
„რაო, რა ბრძანეთ?! –
ჩავეკითხე არაკაცს ზიზღით, –

ჩემთვის ყოველდღე
ვაჟას დღეა! – ვუთხარი მკაცრად, –
და ილიასიც, სხვათა შორის!“ –
შებრუნდა, გაშრა...

რად პირს არ გახსნი,
დედამიწავ, თან არ ჩამიტან,
ათას თახსირთან
რომ პურს მაჭმევ ერთი ჯამიდან!

1983.

წარწერა წიგნზე

ჩემს რევაზს, ჩემს იზოს – ჩემს ძვირფას დაიას:
ეს ჩვენი წილხვედრი დღეები ჩაიარს...
გაგრძელდეს! გაჭრელდეს! ვარ ამის მთხოველი,
კი! მაგრამ ჩაირბენს, ჩაიფრენს ყოველი! –
ჩაქრება – სანთელი, მელანი – დაშრება
და, რაკი სიკეთის გრძელია არსება,
დარჩება ეს წიგნი და წიგნთან მარადჟამს
ჩვენი მეგობრობის ყვავილი დარჩება!

1982.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

სახლი – ავაშენე! – კორდი – გავათენე!
        რატი ლებანიძეც მეყოლა...
ვინც ვერ ააშენა, ან არ ააშენა,
        ათასი მოჩმახა და შეყორა...
სახლის დედაბოძი მიწიდან ამოსული,
        თავისით ამოსული ეგონა!

1982.

* * *

ორღობის თოვლში კაცები დგანან –
ჰკვნესენ, კასპისას კლდეს გასცქერიან,
„ვეფხისტყაოსნის“ სამებას ჰგვანან –
თოვს და სამშობლოს ზამთარს შვენიან...
არც ნამეტნავად მთვრალები ჩანან,
არც მთლად ფხიზლებში სწერიან...
„საქართველოო ლამაზო“...
ჩემი დაიას ლექსსა მღერიან.

1982.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

წვრილ სარკმელში ხიდის კიდის
ძეწნა ჩანს და წყარო ჩანს;
ხიდზე თეთრი ქალი მიდის –
ტანს მიარხევს საროსას...

ახლა – ქალაშავა ჰკიდებს
ტოტზე კაბას ჯვალოსას –
ვხედავ გახდას ჭრელი წინდის,
სხეულს ვხედავ საოცარს...

ღმერთო, ღმერთო, სისხლის ჩქერას
გმადლობ ამ საღამოსას...
ნუ მომიშლი ცისკრის ცქერას,
მზის ჩასვლას და ამოსვლას!

1981.

* * *

არაფერი! – მოცდა მცირეოდენი!
არაფერი!
ქვადქცევა და ლოდინი!

სიბრიყვეა ახლა დაფნის პოტინი!
არაფერი! –
მოცდა ... მცირეოდენი!

ქარი ღრუბელს მიდენის და მოდენის...
ხედქცევა და
ქვადქცევა და ლოდინი!

სულთმობრძავის მესმის აფთრის ხროტინი...
ოჰ, ლოდინი!
ლოდინი და ლოდინი!

1981.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

მეწადა, ქართველს მევლო ქართველად,
ის, რაც მწამდა და მკლავდა – მეხატა...
ვგონებდი, მშობლის ასე ადვილად
სესხი და ვალი გადამეხადა...

მივალ! მივდივარ! ვღონდები შენით!
ხვალ-ზეგ მომსვლელი, ალბათ, მიხვდება:
მხოლოდ სიკვდილით! – ცხოვრებით გრძელით
სესხი და ვალი არ გადიხდება...

შენ ჩემი წიგნი სახსოვრად გქონდეს, –
მე მზის ქართულის მითქვამს სიცხოვლე, –
ასიათასჯერ მე გიხდი ბოდიშს –
მაპატიე, რომ დიდხანს ვიცხოვრე!

მივალ! მივდივარ! ვღონდები შენით
და ყელგაღადრულს აქ მრჩება თვალი...
გადაუხდელი ცხოვრებით გრძელით
მიმყვება შენი სესხი და ვალი!

1981.

* * *

დიდებულად – წვიმს, დიდებულად – თოვს,
დიდებულად ქრის ქარი – ქარაშოტი...
არ დაგცდეს საყვედური წვიმაზე, ქარზე –
არ თქვა წუთისოფლის
აუგი არასოდეს!

საზიზღრად იწვიმებს, საზიზღრად ითოვებს,
საზიზღრად იქროლებს ქარი – ქარაშოტი,
ჩვენ რომ დავიღლებით, ჩვენ რომ არ ვიქნებით
და სხვა რომ იქნება –
მკერდზე ყაყაჩოთი!

1981.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უახლოგდეგა
კალი იგი როდესალ ოთხმოცს

(მაინტერესებს)

დამძიმებული –
        საუკუნის, მუხთალის, ცოდნით,
ერთგვარი ნიჭით
        და მედროვის მურდალი ცოდვით,

ნაპარპაშევი –
        ლიქნით, ზაკვით, კაცის გაცემით,
ინტრიგის ხლართვით,
        და ზურგსუკან დაშნის დაცემით,

აღზევებული –
        რით! – სახელის სყიდვით, ვაჭრობით,

სიბრიყვით ჩვენით,
        უფრო ზუსტად – ჩვენი ლაჩრობით, –

უახლოვდება
        კაცი იგი როდესაც ოთხმოცს,
როცა სინდისი
        შეაწუხებს და პასუხს მოსთხოვს.

მაინტერესებს,
        ერისკაცად შერაცხვა თვისი
რა ფიქრებს აღძრავს
        გველაძუა მოხუცის ტვინში?! –

გაკვირვებულმა
        ეს მე გკითხე მეგობარს სანდოს,
შენ გაგეცინა,
        მთაწმინდისას დავცქერდით პლატოს,

(მანქანა ჩვენი
        მიგვაფრენდა შინდისისაკენ...)
და შენ მითხარი:
        – შეწუხება სინდისისაგან
შორსაა მისგან!
        დიდი-დიდი – ნაგლეჯი იჭვის:
„ღმერთს მადლობაო,
        ის, რაც იყო, არავინ იცის!..“

და კიდევ:

„მშვიდობით!
        გაღმა სადგური მოჩანს!
ან სააქაო
        ფეხებს ვერ მომჭამს!“

1982.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

დილის ბინდში ვერის ხიდზე მოვხვდით...
თოვდა, თოვდა... რა კარგია თოვა...
გადამიდგა და ბოდიშის მოხდით
გამაჩერა, სიგარეტი მთხოვა...

მივაწოდე, – გაიხარა კაცმა,
მოვუკიდეთ, – მთვრალი ვარო, მითხრა
გავაბოლეთ, – გულის ფსკერზე დათბა,
სთქვა მადლობა, რა დროაო, მკითხა...

მე ვუთხარი, – ხუთი იყო დილის,
ხიდზე დავრჩი, ის გავიდა გაღმა,
„ეჰეჰეი!“ – შეუძახა თბილისს
და ღიღინით ვერის შეღმართს აჰყვა...

თოვდა, თოვდა, სიგარეტი გვქონდა,
თოვდა, თოვდა... რა კარგია თოვა...
რა კარგია – რა ბევრი და ცოტა:
თოვლში კაცმა სიგარეტი მთხოვა!

1980.

* * *

იმდენი ვწერე სოფლის დაშლაზე,
შქერზე, პარტახზე, ობლის ვარსკვლავზე,
მთებზე,
ღრუბლები
სადაც ოდენ
დაბალახობენ,
რომ დავიღალე ამდენი წერით,
მე გავწუმდი და იმ სათქმელს ჯერით
უკვე თავისად
ახლა სხვები ლაპარაკობენ...

. . .

– მერედა რას წუხ?!
ხომ შეიგრძნო ერმა და ბერმა
პარტახის გესლი?!
განვლო რაღაც ათიოდ წელმა, –
აღმოცენდა კეთილი თესლი!

1979.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ორმოცდაათის მერე
ვატყობ, ადვილად ვთვრები.
ვწუხვარ, გულს ველარ მტკენენ
ჩემი პატარა მტრები.

ხომ ისევ იმას წერენ,
ვლიან იმავე გზებით –
ორმოცდაათის მერე
შემწყნარებელი ვხდები.

დრო ჰქრის როგორლაც სწრაფად,
ვატყობ, დამოკლდნენ წლები...
ეს სიბერეა, ალბათ!
ვხვდები, ძამიკო, ვხვდები!

1978.

* * *

მე თუ მკითხეს,
შენ თუ გკითხეს, ჩვენ თუ გვკითხეს,
გვყავს ვინ, გვყავს ვინ სხვა, უმეტეს ღირსეული!
აქ, პონტისპირ, აქ გრანიტში უნდა იდგეს,
აზიიდან
ევროპისკენ მიქცეული!

იდგეს, ბოსფორს და ბალკანეთს გაჰყურებდეს,
არც ბრძენკაცად, არც ცხენ-კაცად დამტამპული,
რაღაც სულ სხვა – ახალ დღეებს მსახურებდეს
უსაშველოდ
დიადი და მასშტაბური!

როგორც რამე კლდე ჰყუდია ზღვისპირ ცამდის,
კაცისთავა კლდე გინახავს გიგანტური,
იდგეს ასე – ისტამბულს და ბოსფორს ჩანდეს
აზიიდან
ევროპისკენ მიმართული!

ხოლო ზღვაში ხომალდები ირწეოდეს
და ხმამაღლა და აშკარად, დღისით-მზისით
საქართველო მისი ნახვით იწყებოდეს,
იწყებოდეს
საქართველო სწორედ მისით!

და ჰყვაოდეს პონტისპირად ბაღი სწრაფად
და ჰყვებოდეს უცხო გემზე ნაოსანი:
ეს არისო ამ პატარა ხალხის პაპა;
ეს გახლავსო
დავით-მეფე საოცარი!

მე თუ მკითხეს,
შენ თუ გკითხეს, ჩვენ თუ გვკითხეს,
თუ ვართ ხალხი და ხალხი ვართ ღირსეული,
აქ, პონტისპირ, აქ გრანიტში უნდა იდგეს,
აზიიდან
ევროპისკენ მიქცეული!

1977.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

– 1 –

მე ვიყავ ბათომს,
ვიყავ ხულოს და ვიყავ ქედას,
მებრალებოდი
ამ სიცხეში აქ დარჩენილი.
შენ აფხაზეთში
გაქცევიხარ საყვარელ დედას,
„მამა ძალიან მომენატრე“...
მაგიდაზე დამხვდა წერილი.

– 2 –

შენ ხარ სათნოება! ირგვლივ სხვა დროება
ბრუნავს და ვსასოებ ღმერთს:
„მიმყოფე ბედნიერი! მიმყოფე ბედნიერი!“
შენთვის ვიმეორებ ერთს.

ათასი – ულირსი, ათასი – უხეში,
და კიდევ გეტყოდი მეტს,
ათასი – უტიფარი, ათასი – უმწიფარი
ბედს გააფთრებული სჭედს.

იყავ ბედნიერი! გფარვიდეს ზეციერი!
ეძიე, ეწიე ბედს! –
ენა – იმეორებს, ტვინი – იმეორებს,
გული იმეორებს ერთს.

1977.

* * *

გარეთ წვიმაა, ტყეები დალბა,
ოთახში სუფევს ინტიმი წვიმის,
შენ თარგმნი ჯონ რიდს, გინთია ლამპა,
გესმის წკრიალი თხევადი სიმის.

გიყვარდა ვინმე, უყვარდი ვინმეს?
– „აუ“! – ელოდი პასუხად „აუს“?
შეჰფარებიხარ სოფლისას მღვიმეს
გამოჰქცევიხარ ქალაქის ხმაურს.

გჭირს კაეშანი ფერმკრთალს და ამაყს,
შეგტირის გული მონყენილ ყვავილს;
უთხარი რამე შენს მოხუც მამას, –
განუცამტვერე გუმანი ავის!

ხარ ოცდაორის აგვისტოს თორმეტს –
ვერ გააგონე ძახილი გულის,
თუ გულისძგერით ის შენსკენ მორბის
და თვითონ შენ ხარ მიზეზი წყლულის?!

წვიმს, სულო ჩემო, ტყეები დალპა,
ოთახში ბუდობს ინტიმი წვიმის,
კითხულობ, თარგმნი, გინთია ლამპა,
გესმის წკრიალი
თხევადი სიმის.

1977.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

კაცი –
        გაფუყული დადის,
კაცი –
        ღრუბელივით დადის,
სპასალარის
        მიხრა-მოხრით,
მკაცრი
        გამოხედვით ყადის.

ანუ –
        არის ბრძენი ვინმე,
ანუ –
        ქატოდ არ ღირს მჭადის,
ამას ვწუხ და
        ამას ვტირ მე –
ჩვენი
        მოტყუება სწადის.
მაგრამ
        ოცი წელი გადის!
ვთქვი თუ:
        არ ჰყავს მთქმელი მართლის,
თვითონ –
        კეისარმა უთხრას,
რაკი
        წელინადებს არ თვლის!
მაინც –
        იანვრები ბარდნის,
სდევს
        თებერვლებს ჭყაპი მარტის –
არცა –
        ქვეყნის ბოსტანს ბარავს,
არცა –
        ქვეყნის ვენახს ხარდნის,
დღესა ყოველს
        ესრეთ სჩადის:
ზუსტად
        ნახევარზე ათის
„ვოლგის“
        სავარძელში ჯდება
მიღმა –
        აბრეშუმის ფარდის.

1977.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ბოღჩებით და ყავარჯნებით
გრძელი სოფლის კართან ვდგევართ;
მოკლე სოფელს არ დავრჩებით,
ყველა გრძელ სოფელში წავალთ!

კეისარიც, სპასალარიც,
თვითონ რომის პაპიც თავად
(სხვა სოფელი არსად არი!)
ყველა გრძელ სოფელში წავალთ!

ამ ტალახებს გავშორდებით,
ამ ორღობეს ლაფში ვყავართ...
მადლობა ღმერთს, გავსწორდებით,
ყველა – გრძელ სოფელში წავალთ!

1977.

* * *

სადაც შეხვედი, ღვინოს გაწვდიან,
        დღეა ჭირის თუ ლხინის;
თუმნის გადახდას შენ არ გაცდიან –
        გული მადლობას ყვირის.

შენ კარგად იცი, ვინც ხარ და რაც ხარ,
        ანუ რატომ და რისთვის,
რუსთველის პატრონი ერთ პოეტს, საწყალს
        ჭიქას გივსებს და გიწვდის.

ოჰ, საქართველოვ, ჩარგლის, ყვარელის,
        ჭყვიშის, სხვიტორის ტკბილის,
ჭირიმე შენი პურის, მარილის,
        შენგან მოწვდილი ღვინის!

1977.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

უძვირფასესი იყო ზაფხული, –
ვარ კორდზე თქვენით დასახლებული!
რა მოსავალი იყო ზღაპრული –
ყოველ ნაბიჯზე
ლექსი იყო ... ჩასაფრებული!

რა არის ლექსი, თუ არა გრძნობა,
გრძნობა ასწილად გამძაფრებული!
იყო მარტივი სოფლური ყოფა –
ყოველ ნაბიჯზე
ლექსი იყო ... ჩასაფრებული!

ჩამომითოვა სამშობლო მთები,
დავკეტე ქოხი – დამრჩა კრებული.
რას ნიშნავს ფრთები! რას ნიშნავს ფრთები!
ყოველ ნაბიჯზე
ლექსი იყო ... ჩასაფრებული!

1977.

* * *

ჩანგო ჩემო, მოხრიხარ
ოთხად წელში არვის:
პოეზიის მომხრე ხარ,
ბრძოლის დაუფარავის.

ვერ ვნახე მოგებული
ჩანგი ლიქნით, ფერებით,
მიკიბულ-მოკიბული
და შემკრთალი ჟღერებით.

ნავო ჩემო, მოღლილხარ,
გრიგალი გინანავებს,
იმავ ძველი ბოღმით ხარ
უკანასკნელ სანავეს.

1977.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო

ჯიხვი – ქარაფზე ხტის,
ბუზს არ აიფრენთ, ქედებო!
კავკასით პონტის პირს
ძირს ჩაკიდულხართ, ხედებო!
მე რომ სიკვდილი მჭირს,
ხომ შენგნით, ჩემო ედემო?!
ამბავს ნაუღებთ ვის,
თქვენ, ფრინველებო ღვთის –
წითელ –
ფეხება მტრედებო?!

1976.

* * *

ჩემო პაწია, საბრალო დედავ,
ბედკრულს, გატანჯულს, გაძარცვულს გხედავ,
        რა ენამ გითხრას:
        – ხვედრს ნუ ემდური! –
განშორებისთვის კაცთათვის დათქმულს
ვუახლოვდებით დაწყევლილ სადგურს,
        სადაც დავრჩები
        მე, უკეთური...

შენ აიძრები გაფოთლილ ქარში,
ქვეყნის ნაპირზე ბებერი ბავშვი
        დაგრჩება – შენი
        გამმწარებელი...
ოჰ, ღმერთო, ღმერთო! მე თვალებს ვხუჭავ! –
იელვებს შენი ჭაღარის ბღუჯა,
        იწივლებს შენი
        მატარებელი.

1976.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

აფხაზეთზე ამ კაცს თვალი უჭირავს –
ეს კაცია, ალბათ, თურქის თემის...
და მე ვყვირი: – ჩემს სისხლს დალევს უწინამც!
და მე ვმღერი:
– აფხაზეთი ჩემი!

როსმე „არგო“, (სხვა ხომალდი გუშინაც!)
მოაპობდა ზვირთებს ნიჩბის ცემით...
და მე ვყვირი მკვდარსა მნახვენ უწინამც!
და მე ვმღერი:
– აფხაზეთი ჩემი!

ზღვაო პონტის! რიფებს მალავ უჩინარს –
არაერთის ზედ მიემსხვრა გემი...
და მე ვყვირი: – ოხ, უწინამც! უწინამც!
და მე ვმღერი:
– აფხაზეთი ჩემი!

1975.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ხტიან რუები,
შეჰფენია ყაყაჩო ფერდობს,
მზე ჰყვირის ცაში...
ოჰ, ქალბატონო გაზაფხულო,
ვიყავი ერთ დროს
მე თქვენი პაჟი!..

თქვენს შესახვედრად
გამოვრბოდი უგონოდ მთვრალი –
მწვავდით და მკლავდით,
ჩემს ცხოვრებაში
თქვენ იყავით პირველი ქალი,
რომელიც მწამდით!

გადმოდგებოდით
წითელ-მწვანე ატლასის დროშით
ნაზამთრალ მთაზე –
ოქროს უზანგი
საკოცნელი პაწია ქოშით –
მახსოვხართ ასე!

აწ თქვენგნით გული,
თქვენგნით გული აღარ ცოცხლდება,
აღარ ძგერს ლხენით,
მხოლოდღა ცრემლი
სინანულის წამწამს მოსწყდება –
თქვენით...

სხვა სიყრმე გელით,
ქალბატონო, ღონიერ ხელებს
სხვა სიყრმე გიწვდისთ...
და თქვენც, თქვენც მარად ახალგაზრდა,
მოჰყვებით სერებს,
მოდიხართ სხვისთვის!

1975.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოელ პოეტს

პაპუასსავით ჩემს გლეხს რომ შესცქერ,
მწყემსს და ქვითხუროს,
შენ, უცხოელო, თუ მართლა ლექსს წერ,
რად არ კითხულობ.

რაგვარად ძგერენ, რაგვარად ჟღერენ
ერის ლექსები?!
აჰა, ბატონო, რაგვარად წერენ
ჩვენი მწყემსები:

– „ხარ ვარდის ბუჩქი, დიაცო,
ბულბული შეგყეფს ტიასო,
– სადაც შენ დაიმარხები,
ნეტავ იმ ეკლესიასო!..“

1975.

* * *

გოგოს, თვითონ პატარას,
        გზად პატარა მოჰყავს,
შესცინებს შავთვალას,
        ფრთხილად ახებს ლოყას.

კი, ფიქრიას ტოლია!
        რაკი შვილად შეგფერს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეგ პატარა გგონია
ჩახჩუებულ ბებერს

ერის წიგნში გაშლილო
ახლო კაბადონო
გამარჯობა, თვალჭრელო
პატარა ქალბატონო!

ოიდა, ოიალე!
ოიდა, ოიალე!
დახუნძულო ხეო!
მდედრო მსხმოიარე!

შენ ქართლოსის ჭიგოს
შეეწებე ცოლად –
კურთხეული იყოს
შენი ქმართან წოლა!

შენ ხარ მწვანე ბალახი,
პირველ რილო-ჭრილოს
შემოგცქერის ქალაქი –
დაგინახოს, ცდილობს.

ქალია თუ ვაჟია, –
საქართველო ყვავილობს,
„რა დროს მაგის ბავშვია!"
ვინც ეს გულში გაივლოს...

ოიდა, ოიალე და
ოიდა, ოიალე –
ნერგო ნაყოფიერო,
მდედრო მსხმოიარე!

1975.

* * *

მე ხელთ მიპყრია ნაზად
ულალატო და წრფელი
შენი დაღლილი მაჯა,
შენი დაღლილი ხელი.

და გეკითხები, ზვირთი
როს ჩავლილია ბრძოლის:
„მძიმდა თუ არა ტვირთი
შენთვის პოეტის ცოლის?!“

და კიდევ გკითხავ: „ფასად
განათებათა მცირთა
ღირდა თუ არა განცდა
ეგეოდენთა ჭირთა?!“

შენ ხელთ გიპყრია ნაზად
შენი დღეების მკვლელი
ჩემი დაღლილი მაჯა,
ჩემი დაღლილი ხელი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მიპასუხებ წყენით:
„რაიღა გინდა მეტი!
ხომ ვვლიდით ჭირთა თმენით,
ხომ არ გავხარეთ ქედი?!

ჩვრად არ გავეგეთ არვის,
დიდთა დიდს მივყეთ მცნებას.
ხომ გიხერხებდი კალმის
სისხლის გუბეში წებას?!

ვით ბრონეულის ნაპობს
ძვირფასი შუქი სწვეთავს,
ესრეთ ცხოვრების ნაყოფს
ჩვენსას მხედველი ხედავს.

და არ არცხვენენ სახელს
მშვენიერნი და ზრდილნი
ჩვენი ღარიბი სახლის
უუმდიდრესნი შვილნი...

მე ხელთ მიპყრია ნაზად
უღალატო და წრფელი
შენი დაღლილი მაჯა,
შენი დაღლილი ხელი,

გმადლობ – მრწამსით და რწმენით
რაც ვიტანჯე და გტანჯე!
გმადლობ – დღეები ჩვენი,
როგორც მეწადა, ვხარჯე!

ეს დღეც თენდება თეთრად –
განმქარვებელი ჭირთა –
და ვიმეორებთ ერთად:
– ღირდა, ღირდა და ღირდა!

1974.

* * *

მოვიმღერდი როსმე ველად,
მოვდიოდი შენსკენ ძველად
პირის შენის სანახავად,
ხორცთა შენთა საკოცნელად.

და შენც და შენც წამებს თვლიდი,
სადაც ვიყავ, ფრინდი ფრინდი,
ჩემსკენ გამოიჩქაროდი,
ვარდისფერ გზით ჩემსკენ ვლიდი.

ან ცხვირს საკერავში ჩარგავ,
ან სათვალეს ხშირად კარგავ,
ან მესამე თაობისთვის
ათას ჭინჭაბუნჭას ჰქარგავ.

ან გზა მოფენილა ჭკებით,
წლებით მოცელილი ვჭკნებით,
ცის სავსეა დარბაზები,
ელენ, მოწყენილი ხმებით!

1974.

ბევრს არ დაგპირდები

ლხინში – ავხირდები,
ჩრდილში გაგიდგები,
ჩემთვის ვაჩხაკუნებ
ფანდურს, სანატრელო;
ჭირში – დაგიტკბები,
ბევრს არ დაგპირდები:
ფეხზე დაგიდგები,
ჩემო საქართველო!

1973.

ჭეშმარიტება

ათასჯერ მიგასიკვდილებენ,
ათასჯერ სამართებლით დაგკლავენ,
საჯაროდ მიგასაფლავებენ,
საჩქაროდ ფაციფუცით დაგფლავენ.
მწუხარედ გოროხებს დასწვდებიან,
წესი არისო და, მიგაყრიან,
აღაპშიც სუფრისთავს დასხდებიან
და ცრემლებს, ყალბ ცრემლებს, მოგაღვრიან.
მაგრამ რის მკვდარი და რა ცხედარი, –
სამარხი ყლორტებით გაგიჭრია, –
გაიხედავენ და, რას ხედავენ:
ამაყად ფრთები გაგიშლია!
საკუთარ საფლავზე ამოსულხარ
და, რაკი საფლავში წოლილხარ,
უკორძო, უხინჯო გამოსულხარ,
კორდის ჭადარივით სწორი ხარ!
ზეცისკენ შუბივით წამახული,
მწარე ხარ, მაგრამ მოწყალეც ხარ,
ათასჯერ ღალატით დამარხული,
ათას მეერთედ ცოცხალი ხარ!
შენი ნაფოტისგან გამოთლილი
ეს ჩანგიც ჯიუტად ენამწარობს...
მურმან ლებანიძე მოგიკვდეს!
მურმან ლებანიძე გენაცვალოს!

1973.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

მარეკები შლიდნენ ბანაკს,
ქარი ჩამიჩუმით ჰქროდა,
ვიწექ, რომელიღაც ბალახს
უცბად –
ქალის სუნი ჰქონდა.

თითქოს ურო დამკრეს თავში,
თითქოს პაპაჩემი ცხონდა –
ათას სურნელოვან შვავში
ბალახს –
ქალის სუნი ჰქონდა.

სუნი ჰქონდა არა დალის,
ლალის, – ცისფრის ანუ თეთრის, –
სუნი – საზოგადოდ ქალის,
სუნი –
საზოგადოდ მდედრის...

ღმერთო! ღმერთო! მე სულ ველი
სიკვდილს – შენ მაცოცხლო ვინძლო,
სანამ ვიცნო ეგ სურნელი,
სანამ
ეგ სურნელი ვიგრძნო!

1973.

* * *

სადაც ჩაღრმავდები, ყველგან ზოდებია,
ყველგან ხელთუქმნელი ბაჯაღლო ზოდები,
მაგრამ რაღა დროის! – სიბერის კორდებია,
სიკვდილის კორდებია,
მივალ და გშორდები.

მინდოდა ქართველი თორმეტი მილიონი,
სულ ათი-თორმეტი მინდოდა მენახა –
არაგვის სიარაგვე, რიონის სირიონე
და მიწა გაშლილი
მსოფლიო ვენახად...

სადაც ჩაღრმავდები, ყველგან საშველია,
რა ხსნა, რა გზებია, რამდენი საშველი!
მაგრამ რაღა დროის! ორი დღე დამრჩენია,
ტირილით მივიმღერი,
მივდივარ თვალსველი.

1972.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკითხე და გეტყვი

მკითხე და გეტყვი: რისი თამარი! –
ქართლის ცხოვრების რა ვიცი მეტი!
დავითი იყო ჩვენთვის მთავარი!
დავითი იყო... პირველი სვეტი!

მკითხე და გეტყვი, რის ვაჟა, მენდე,
ერის მეობით და თვისი „მეთი“,
არც თვითონ შოთა! – დავითის შემდეგ
ილია იყო.. მეორე სვეტი!

გაზნექილია
ქარში ალვის ხე,
აწეწილია
სამშობლოს ხედი...
ღმერთო, გვაღირსე,
ღმერთო, გვაღირსე,
ღმერთო, გვაღირსე,
მესამე სვეტი!

1972.

* * *

სასახლეებში, ბაღში, სკვერებში
        როცა ამდენი დროშა ფრიალებს,
ამ სიბერეში, ამ სიბერეში
        შენ რა ჯანდაბა განაღვლიანებს?!

შენ რას გიშლიან ეს ესკორტები,
        ეს ტაშფანდურა ესტაკადები,
ეს სინდისისგან, ეს ნამუსისგან
        მთლად გარეცხილი დღეს პლაკატები?!

        იმას, ბატონო,
            რომ ზენიტზეა
        მზე, – ვინ უნყს
            როდის ჩაესვენება...
        სანამ ეს დღეა,
            სანამ ეს მზეა,
        შენს საქართველოს
            არ ეშველება!!!

1972.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

დროით უფსკრულებს გადავყურებ
სამშვიდობოს მდგომარი –
ვხედავ: მოკლე გაზაფხულებს
სცვლიან – შემოდგომანი...
სიკვდილის გზა ცისფერია,
კვდები ხმალმოღერებით –
იმპერიებს იგერიებ
        სისხლის წამოხველებით...
ფეხზე დგახარ, გცემს ზურგ-ქარი...
მაშ, წინ! წინ და ზემოთ!
დათვი მჭლე და შენ მსუქანი!
დათვი მჭლე და შენ მსუქანი,
        საქართველოვ ჩემო!!!

1972.

* * *

უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი
არა დაღვრილის, – დასაღვრელის, ალბათ, მაცნეა.
არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი
არ გამაჩნია!

მე დავინახე სვეტიცხოვლის თორმეტი სვეტი,
თოთხმეტი ციხე ზეგნებიდან ლაჟვარდს გასჩრია,
არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი
არ გამაჩნია!

მშვენიერია ორ-ზღვას-შუა კავკასის ხედი
და კითხვა: „ვინ-ვის!“
ბებერ გულში ლახვრად მაჩნია...
არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი,
არავითარი სხვა გზა, სხვა ხსნა
არ გამაჩნია!

1971.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველას! ყველას! ყველას!

ქართლ-კახეთად, იმერეთად,
        სამეგრელოდ, გურიად,
ვისაც ჩვენი გაყოფა
        და გათიშვა სწყურია,
ან ჭკვიანი მტერი არის,
        ან უგნური მოყვარე,
ამიტომაც, სადაც წავწვდი,
        ერთიანად მოვთხარე...

        მიყვარს – მტკვარი,
        მიყვარს – ქსანი,
        ტეხურა და ენგური!
        მიყვარს – „ლილე“,
        მიყვარს – „ლალე“,
        მიყვარს „ჩელა“
        მეგრული...

მაგრამ ყველას მირჩევნია
        ერთ დიდ მუშტად შეკრული,
რა თქმა უნდა, საქართველო –
        ვიყოთ მისი ერთგული!
დღეგრძელ იყოს, საქართველოვ,
        შენი მზე და შენი ცა
მრავალ ათას, მრავალ ათას,
        მრავალ ათას წელიწადს!

1971.

მეშინია

ეს სოფლები: ეს ლიქოკი, ეს არხოტი,
ცარიელა ეს პარტახი საიგავო,
მეშინია, ეს სამოთხე, ეს წალკოტი
სხვა არავინ მოვიდეს და დაიკავოს!

შქმერს სათიბზე არ დავობენ მეზობლები,
ძაღლი არ ჰყეფს, ძაღლი არ ჰყეფს ბარისახოს!
ვაითუ, ვინმეს მოეწონოს ეს სოფლები,
ვაითუ, ვინმე მოვიდეს და დაესახლოს!

ეს სხიერი, ეს ლიქოკი, ეს არხოტი
არ ჩააქრო, არ ჩააქრო! – გაფიცებდი
არ წააგო, არ წააგო ეს წალკოტი! –
დამიხსომე, ასი წლის წინ გეძახოდი,
დამიხსომე, განჯღრევდი და გაღვიძებდი!

1971.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ამ ცხოვრებამ – ბრძნულმან, რთულმან,
ამ ბრძოლებმა – კრულმან, მტრულმან,
ამ შეკითხვამ – გველაძუამ,
იმ პასუხმა –იქედნურმან,
ძმობამ, ყმობამ, მტრობამ, შურმან,
აქეთურმან, იქეთურმან –
ხომ არ – გამოგჭამა გული,
ხომ არ – დაიღალე, მურმან?!

– ორად ორი ნაბიჯია
სიკვდილამდე დაღალვიდან...
ღმერთო, დაძინება მინდა,
გაღვიძება აღარ მინდა!

1971.

* * *

დაცხრი გულო! – ხმალჩაგებით
        გასწი, იარ, უკელ ძგერას!
დაცხრი, გულო! – წასაღები
        წაუღია
            უკვე ძერას!

ყოველ ხისძირს ყაჩაღები!
        ყოველ შტოდან გველი გვზვერავს!
დაცხრი, გულო! – წასაღები
        წაუღია
            უკვე ძერას!

არც მეტი და არც ნაკლები –
        მზე ჩასვლის წინ ღრუბლებს ფერავს...
დაცხრი, გულო! – წასაღები
        წაუღია
            უკვე ძერას!

1971.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეგ □ არაფერი

ეგ – არაფერი,
ჩემო ქრისტო, ჩემო ღალაკო,
ჩემო ფირანა,
წინაპარო და ამხანაგო,
ჩემო სილოვან,
უნინ გლეხო, მერმე დალაქო,
ეგ – არაფერი,
რომ გლეხკაცმა გაიქალაქოს,
ჭიბრევის გზაზე
რომ ტალახი ისევ ტალახობს,
რომ ძველ ვენახში,
ჩვენს ვენახში ხარი ბალახობს!

ეგ – არაფერი,
ჩემო სეფე და ჩემო რაჟდენ,
ჩემო ღინტორა,
რომ ფარახეთს მიწები გაცდენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემო ოქრუა,
        რომ კვაშხიეთს ბუხრები დაშტენ,
რომ ჟანგიანი
        ბოქლომები ჭიშკარზე გაჩდენ,
ეგ – არაფერი,
        რომ ჩვენები, ძველები გაწყდენ,
ხოლო ახლები
        მახრჩობელა დახლებში დასხდენ!..

თქვენ ეს მითხარით,
        ეს მითხარით, რა ვართ, რა რჯული?!
გარდა იმისა,
        რომ დავკარგეთ თავად წარსული,
რომ გახმა ვაზი,
        ჩაქრა კერა მრავალტანჯული,
რომ მუცლის ქონით
        დღეს სამოსი გვაქვს აჩაჩული,
რომ უბე-ჯიბე
        ხელის ჭუჭყით გვაქვს დაჯარჯული,
პატიოსნებაც ხომ არ წახდა ჩვენი, რაჭული?!

მოწყენილ სოფლებს –
        აღარც სტვირი, აღარც ფანდური!
გაპარტახება,
        მყუდროება მზარავს საყდრული!
არც ვაზის მყნობა,
        არც შენება მაღალმხატვრული!
არც ქალის წკვრელა,
        არც ყიჟინა ახალგაზრდული!
აღარც „ქვედრულა“
        და ფერხული მრავალსართული!
აღარც მომსვლელი
        და, პასუხად, აღარც დამხვდური!

ქალამნის ჭვინტში
        აბრეშუმის ბალახით – თომით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოსთვის
        საიმედო (ფუძეზე დგომით!!!)
მტერზე მიმსვლელი
        გულუბრყვილო დევკაცის წყრომით,
სხვა დროს გართული
        თავის ვაზით, ხორბლით და ღომით,
აქ ნაშენობდა,
        აქ, მრავლობდა, განთქმული შრომით,
ჩვენი ბრძენი და
        თავმდაბალი ქართული ტომი!..

კი, კი, ბატონო,
        რომ არ ადგა მთის კაცს საშველი,
კი გადიოდა
        საშოვარზე ძველი რაჭველი,
მაგრამ ნაშოვრის
        კურთხეული მისი მარჯვენით
კვლავ რაჭაში და
        კვლავ რაჭისთვის იყო მხარჯველი
და, სადაც იყო,
        თან დასდევდა ფიქრი მტანჯველი
და თვალწინ ედგა
        უტკბილესი მიწის ნაჭერი:

„პორტ-არტურში ვართაო,
ცხენის ხორცსა ვჭამთაო
ქვე, გზის ფული თუ ვიშოვნეთ,
მალე ჩამოვალთაო“.

ან:
„დამისხი, დამალევიე,
ჭკუას მოვალ, გონებასაო –
რაჭას წასვლა მირჩევნია
მილიონის ქონებასაო!..“

1971.

* * *

ვარ აჩეხილი ნახევრად ვაზი
        და შენ ხარ ჩემი ჭიგო!
და ყავარჯენიც შენ, შენ ხარ გზაში –
        ტვირთს დაჭრილისას იყოფ...

შენა ხარ ჩემი ხმალი და თოფი,
        გენდობი, როგორც სტრიქონს...
მაქვს თავი ქუდში შენდამი ნდობით,
        სადაც არ უნდა ვიყო.

1970.

მაგდრეები

არდავიწყების
        მწვანე კონცხთან ამოდის გემი
ზღვის უფსკრულიდან;
        მისცემიან გემბანზე ფიქრებს.
მიცვალებულებს –
        ალამაზებს ოცნება ჩემი –
ბევრი მათგანი ქუდს მიხდის და
        ცხვირსახოცს მიქნევს.

აკაკი მოკვდა,
        მოკვდა ვაჟაც, ილია მოჰკლეს,

გალაკტიონმა,
ვიცით, თვითონ გაშალა ფრთები.
ფასშეუვალი
და მწუხარე ხომალდი მოჰქრის,
მოჰქრის ხომალდი
დახუნძლული ძვირფასი მკვდრებით.

ხოლო ცოცხლები
ჩემს ნაპირზე, ჩემს გვერდით დგანან,
მგონია, ვდგევარ
ერთდროულად ძმებთან და მტრებთან;
ხელს ვართმევ ცოცხლებს,
მაგრამ მკვდრები სხვა ნისლში ჩანან
და კარგად ვიცი,
რომ საერთო მეტი მაქვს მკვდრებთან.

„წინ! ასწი თასი!
მოაშურე ჩვენს მსუბუქ ხომალდს!“ –
ვილაც, დიდი და
იდუმალი, გაფრენას მირჩევს...
და გალურსული
ჩემი სული სიფრთხილით ზომავს
გასაფრენ მანძილს
და საფრენად უძნელეს სივრცეს.

ხომ არ დაბერდა,
ხომ არ გაცვდა ჭურჭელი ხორცის,
რომ, რაც დრო გადის,
უხორცობის ნყურვილით ვთვრები,
რომ მპირდებიან
სამუდამო ტაძარში ქორწილს
და მეძახიან
მეძახიან მე ჩემი მკვდრები?!

რა არის წლები,
ეპოქები რა არის ხშირად, –

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწამებრივი,
ხორციელი ცხოვრების შემდეგ
უსაზღვრეობის
თუ იქცევი წილად და შვილად
და ნაიშლება
შენთვის ზღვარი
და სიტყვა „შესდექ!“

ჩუ, ეს ვინ გალობს?
მწვანე კონცხთან ფრიალებს აფრა –
კრთის და ფრთხიალებს
უთეთრესი ყვავილი ხსოვნის.
იქ არა ერთის
შარავანდი ბრიალებს ლამპრად,
იქ რუსთველია
წინმდგომად და მეუფედ ყოვლის.

იქ, წინაპრებთან,
ჩემი დროის შვილებიც ჩანან, –
მკერდბუმბერაზი
ეს ვინ დადგა მამების გვერდით?
ოჰ, რა ღირსებით,
რა ლომური ჭაღარით დგანან
და რა ურყევნი
ერთი მრწამსით და ერთი ხვედრით!

„ – მაშ, ასწი თასი!
მოაშურე ჩემს მსუბუქ ხომალდს!“ –
ვიღაც, დიდი და
იდუმალი, გაფრენას მირჩევს...
და გალურსული
ჩემი სული სიფრთხილით ზომავს
გასაფრენ მანძილს
და საფრენად უძნელეს სივრცეს.

1970.

ფეგონეგანი

ლამაზი არ არის:
ასი წლის მოხუცი კუნტრუშით გარბოდეს!
ოცი წლის ლიფსიტა ბრძნულად დადიოდეს!
ტყეების პატრონი ნაფოტებს ხარბობდეს!
უნიფხოს სუნამოს
სურნელი ასდიოდეს!

ლამაზი არ არის:
მეკობრე – მინისტრის ლოჟაში ჯდებოდეს,
გაძარცულ კლიენტებს ღიმილით უკვდებოდეს!
ყასაბი – დნებოდეს, დღითიდღე ხმებოდეს!
ღმერთო, დაგვიფარე და,
პოეტი სუქდებოდეს!

ლამაზი არ არის:
დონ ჟუანი საყდრისთვის სცდებოდეს!
ეპისკოპოსი ბარდელში დადიოდეს!
ბარემ ესეც ითქვას, ესეთიც ხდებოდეს, –
სამშობლო ხელთ ეპყრას
ბერიკაცს ათიოდეს!

1970.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო

ფიქრიას

ჩემო თვალნათელო, ჩემო სანატრელო,
ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო.

ყოფილა დავით-მეფე – აღმაშენებელი,
ყოფილან ოპიზრები – გასაშტერებელი;

ყოფილა მოდრეკილი, ყოფილა ცურტაველი,
რასაც მოჰყოლია შოთა რუსთაველი...

ჩემო მიმინო და ჩემო ფრთანათელო,
ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო.

ყოფილა ნიკოფსით – დარუბანდამდე
გაჭენებული და გამოჭენებული;
რტოებგაშლილი და გამოჩინებული,
ყოფილა ორ-ზღვას-შუა აღმოცენებული.

ფიე, საქართველოს ჰყოლია ვასლები!
თამარს უკრეფია სულ ოქროს ვაშლები!

ტევრი გვიწალდია, ისე გვიზარდია,
რომ გავმზადებულვართ ახალ ბიზანტიად.

მაგრამ უცაბედად მატლი არეულა,
ბორბალი უკუღმა დატრიალებულა.

ჩვენთვის მონღოლია პირველი სასჯელი,
მონღოლს მოჰყოლია თურქი და სპარსელი.

ტურფა საქართველო ყორნებს წაუღიათ,
სპარსეთს და ოსმალეთს შუაზე გაუყვიათ.

ჩაშლილა ჯაჭვი და თვალი ჩარღვეულა,
იყალთო დაკეტილა, გელათი დანგრეულა.

ოთხ მეფეს სულ სისხლის ცრემლებით უცრემლია,
ოთხივეს საბრალო ლექსები უწერია,

– რა დროს ლექსიაო, მოუკვდა პატრონი! –
ხმლით შემოვარდნილა ერეკლე-ბატონი...
ამას მოჰყოლია:
„ვაჰ, დრონი! ვაჰ, დრონი!“

ჩემო თვალნათელო, ჩემო ფრთანათელო,
ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო!

1969.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ყვავილების მდინარეს კუბო ცისკენ მიჰქონდა:
იწვა გალაკტიონი და თავისას ფიქრობდა.

აღმართ-აღმართ მდინარე მთაწმინდისკენ დიოდა:
იწვა გალაკტიონი – მოხუცს ბეჭი სტკიოდა.

ალბათ, შუბლიც სტკიოდა – მაინც, მეფურ იერით,
იწვა მკერდბუმბერაზი, ხნიერი და ძლიერი.

რაღაც პათეტიკური მას სიკვდილშიც დაჰკრავდა:
იწვა, როგორც ყოველთვის, ახლაც არვის არ ჰგავდა.

ეს სიკვდილი, ეს დაფნა, ეს მზე ოქროცურვილი –
იყო ეს ყველაფერი მხოლოდ მისი სურვილით.

დირიჟორი თვით იყო! რაც მოხდა და გათავდა
და რაც ახლა ხდებოდა – მისი ჟინი მართავდა...

ყვავილების მდინარეს რკინის კუბო მიჰქონდა,
ინვა გალაკტიონი, სივრცეებზე ფიქრობდა.

უცბად, შავმოვლებული შეჩოჩქოლდნენ დროშები
უცბად, მამადავითის ბჭესთან შედგნენ მგოსნები:

კონსტანტინე-ბატონთან ლეონიძეც იქ იდგა,
„რა ჰქნა? – უმისამართოდ ჩიქოვანმა იკითხა.

„რა ჰქნა?“ – ახლა ირაკლიმ თქვა და თავი დახარა.
იმ დღეს ავად მენიშნა ეს ამდენი ჭაღარა...

სდუმდნენ დიდოსტატები,
იდგნენ მხრების კანკალით,
დასწყებოდა მთაწმინდას საუკუნის სამკალი.

წინ გვიძღოდა სიკვდილით სივრცეების მხილველი,
მიდიოდა ამაყი და სიკვდილშიც პირველი.

იყო ცხრაას ორმოცდაცხრამეტი წლის ტალახი,
იყო ფრთხილად გაჭრილი წმინდა ძვალთშესალაგი.

ალაგ სამარხ მიწაში იყო მარტის ამინდით
ტალახში აზელილი უძველესი კრამიტი.

რაღაც პათეტიკური მას სიკვდილშიც დაჰკრავდა:
ინვა, როგორც ყოველთვის, ახლაც არვის არ ჰგავდა.

ერთი-ორი სხვაც ჰყავდა,
ვინც მშობლისთვის იბრძოდა,
მაგრამ ვისაც მარხავდა, საქართველომ იცოდა!

1968.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ვერაფერი გამიგია,
ცხოვრებაში რა ხდება:
ყველაფერი წამიგია –
მეგობრები მაკლდება.

ბრაუნინგით არ მომკვდარან
ვინც დღეს ჩემთვის მკვდარია,
არც ფანჯრიდან გადმომხტარან –
მშვენიერად არიან.

უფრო ხშირად ახლა შინ ვარ,
წვიმას ვნატრობ შხაპუნას:
შევსვათ! ყველა თავის წვრილმან
საზრუნავში ჩაფლულა!

ყველა თავის ნავში სხდება,
ყველამ სადღაც გაცურა,
ყველა კვდება, გული მწყდება –
წასულან და წასულან!

და დღეები გადის ზანტად,
ღამეები გროვდება,
ვიღაც უსაშველო ლანდით
მწუხრში მიახლოვდება...

მინდა მთაზე ავირბინო,
ზღვის მიქცევა ვიხილო,
თავში ხელი წავიშინო –
რაც მომხვდება, ვიყვირო.

1968.

* * *

ამ სახლში ბევრი
        გაფუყული მედროვე ცხოვრობს
და, ხალხს თუ ვკითხავთ,
        წამწარდება ცხოვრება ბოლოს.

მაგრამ არსებობს,
        წლებს მიათრევს ორიოდ კაცი,
რომლის სახელი
        იფრინველებს ანი და ანი...

და თუ ის იქნა
        საქართველო, რომელსაც ვგონებ.
რომლისთვის ვიბრძვი.
        ანუ რომელს ვეტრფი და ვმონებ,

აქ მოვა მსჯავრით,
        გადმოლახავს ხალხის ზღვა ნაპირს,
მემორიალურს
        მათ სახსოვრად
                გამოფენს დაფებს.

1968.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ჩემს გალაკტიონს მე ვკითხე ერთხელ
(ის მთვრალი იყო, როგორც ყოველთვის):
– ბატონო გალაკტიონ, თქვენ პირველი ხართ,
დაგვისახელეთ მეორე პოეტი...
უცებ, ჭინკებით გაევსო თვალი –
თვისი სიმაღლით ის იყო მთვრალი
– საქართველოში?! – ჩაიქირქილა
და ლომურ წვერზე
მოისვა ბრჭყალი...

1968.

მახსოვს!

სოსო იორამიშვილის ხსოვნას

ეს ერთი სიტყვა უნდა ავიხირო –
მახსოვს!
შენი დათვისსისხლა შავი ღვინო –
მახსოვს!
შენგან მოძღვნილი არყის ბოცო
მახსოვს!
შენგან მოწვდილი ტახის ხორცი –
მახსოვს!
იორ-მუღანლოში სადილობა –
მახსოვს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ რომ შემაყვარე ნადირობა –
მახსოვს!
შენ რომ ლელიანის კატა მაპოვნინე –
მახსოვს!
შენ არ ესროლე და მე მასროლინე –
მახსოვს!
მე რომ პირველი ხოხბით გავიხარე –
მახსოვს!
შენ რომ დაიხარე და აიყვანე –
მახსოვს!
ივრის ჭალები აქოჩრილი –
მახსოვს!
ეგ მხრები ბრეზენტით გაკოჭილი –
მახსოვს!
მზისგან დამწვარი გორმახები –
მახსოვს!
შენი თათარი ყონაღები
მახსოვს!
ბოლო ხანებში გვეღლებოდი –
მახსოვს!
მახსოვს, ხელიდან გვეცლებოდი –
მახსოვს!
„მეც ვბერდები და ძაღლიც ბერდებაო“,
მახსოვს!
„ჰაუ, რანაირად თენდებაო!“ –
მახსოვს!
ლექსებს მიკითხავდი კოცონთან –
მახსოვს!
ეს ოთხი სტრიქონი მოგწონდა –
მახსოვს!

„გახედე: კახეთი! დამსკდარა ატამი,
რა მალე მოვიდა აგვისტოს პირველი,
გარეულ ჭალებში ტრიალებს ქათამი,
ჭაობში იხვია მოწყენით მზირველი“...

1968.

* * *

ხარ დიდი
        სანდრო ბოტიჩელის მადონა ნორჩი,
ამიმხედრდება
        შენი ერთი დანახვით სისხლი
და მერე, როცა
        გვერდზე წახრილს ბეჭებში გკოცნი,
ხოლო შენ მორცხვად
        შენს ათასგვარ ღილაკებს იხსნი,
განუზომელი ნეტარების
        მოლოდინით მევსება ხორცი...

ო, უტკბილესო!
        ტიტანური შთამბერე ძალი!
მინდა, დაგწვდე და
        აგიტაცო უეცრად ცაში,
მინდა, ვიყვირო:
        „საოცრება! შეხედეთ! ქალი!“ –
მაგრამ ბნელდება
        და ხორხოცით, გრგვინვით და ტაშით
მიექანება უფსკრულებში
        დამსხვრეული ხორცი და ძვალი.

1968.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მგლები

გარშემორტყმული მე ვარ სულ მგლებით,
მგელი ვარ, შენ ხარ ჩემი ძუ მგელი;
აყმუვლებული მე ვარ ჯუნგლებით,
ჩემი ყმუილით ჯუნგლებს ვუმღერი.

მგლური ცხოვრების გაგემე გემო –
ხომ, ხომ გაგემე სამშობლოს ტყეში?! –
ლეკვებს მიზრდი და, ძვირფასო ჩემო,
მომირთმევია ბუნაგში ლეში...

მინდა, ალერსით ჩაგყმუვლო ყურში, –
გასაოცარი მე ვიცი ხმები, –
აჰა, შენ ლაში, აჰა, შენ დრუნჩი,
შევახოთ ერთურთს გამხმარი ყბები!

სამშობლოს ტყეში მიცდიან მგლები, –
ოცი წელია, მე ვარ სულ მგლებში, –
შევახოთ ერთურთს ალერსით ყბები და
ქეჩოაყრილი წავალ ჯუნგლებში...

წავალ და ვნახავ, წამხდარ ვენებით,
დამწყდარ ნერვებით მოიგებს რასაც
კაცობრიობა – ამ გახელების,
ამ გამგელების
ფასად!

1968.

ქართველები

ხმამ, მსუყემ და ჯანიერმა,
მატარებელი შეჰყარა:
— „ქართველები?!
რაც ხალხი ვართ,
იცის, ძამა,
ქვეყანამ!

ორი კაცი სუფრას შეიქმს,
სამი კაცი —
ქეიფს!

ოთხი კაცი — არიფიონს,
ხუთი —
პარტიას!
ექვსი კაცი — მანიფესტს ვწერთ,
შვიდი —
ქარტიას!..

ჩვენ რომ — ასი კაცი ვიყოთ,
ჩვენ რომ —
ერთი პირი გვქონდეს,
არ გვცალოდეს საქილიკოდ,
თან —
ბილიკიც ბილიკობდეს,

მაშინ, მაშინ...
— „რაი, მაშინ?!"
— „რა და... ეუჰ, გიჟია!
მომაშორეთ აი ბავშვი,
ჩვენია თუ ალიფაშის,
თუ კაცი ხარ, ვისია?!
ჩემ თავს ველაპარაკები,
ჩემთვის ვყვები, ბიძია!"

1979

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

როდესაც გრიალებს „ბრავო!“
ხეც ლამის სირცხვილით გახმეს;
მურმანი ჰკითხულობს: „რაო,
რაშია, თუ ძმა ხარ, საქმე?“

ხოლო როდესაც „ბრავოს“
„ბისიც“ და „ვაშაც“ უერთდება,
მურმანი იკმარებს „აუჰ!“-ს
და ბოღმით თმები უთეთრდება...

როდემდის, ცოლო და შვილო?!
როდემდის, დაო და ძმაო?!
როდემდის, სამშობლოვ ტკბილო და
შენც, ჩემო ბებერო თავო?!

1965.

ვოი!

– ვოი!
რა უფერულია სიკვდილი ლოგინში!
ვოი, რა საშინელია სიკვდილი ლოგინში!
ისიც ლოგინში მომკვდარა, ოღონდ –
ყინულის ლოგინში!..

ვოი, კალა-უშგული შეკრებილა –
ყანას და სათიბს მომცდარა.
მთელი სვანეთი შეკრებილა,
მთლად საქართველო შეკრებილა,
შხარასთან ღრუბელივით მომდგარა...
ვოი, შხარა სისხლით შეღებილა –
კოხტა თიკანაძე მომკვდარა...

ბექნუ ხერგიანს
და ბექნუს ლომებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამის ნეშტი
უპყრიათ ხელში,
ბექნუ ხერგიანს
და ბექნუს ლომებს
მშრალი ბურთები
გასჩრიათ ყელში.

გურამ თიკანაძეს შხარა აუღია,
რაც მოხდა, დაშვებისას მომხდარა:
საკუთარ ხელით პალო დაუგია,
საკუთარ პალოზე მომწყდარა...

ცოცხლისგან საყვედური აუგია –
თოკი ერთადერთი ჩაუბია –
თავი სიმამაცით წაუგია,
ვოი-ვო, სიმამაცით მომკვდარა!..

ბექნუ ხერგიანს
და ბექნუს ლომებს
გურამის ნეშტი
უპყრიათ ხელში,
ბექნუ ხერგიანს
და ბექნუს ლომებს
მშრალი ბურთები
გასჩრიათ ყელში...

„ხოჩა საკაცე გამითალეთ,
დავაწყო ხორცი და ძვალი,
სიკვდილი სიცოცხლედ ჩამითვალეთ,
აღმართში კვნესით ამიტანეთ,
ვაკეზე, მითხარით ზარი!..“

უშგულში გამოვარდა ივდითი ნიჟარაძე,
შეჰკივლა, გაიკაწრა ლოყა;
ფოსტლების ფლატუნით უხნესი დიაცი
საკაცეს ფეხდაფეხ მოჰყვა:

„თეთნულდმა რა მოგცა? უშბაზე რა გქონდა?
შხარაზე რა გინდოდა, გმირო?!
ვო, გურამ, რამხელა ბეჭები დაგქონდა –
რამ დაგაპატარავა, შვილო?!“

ასი ცხენოსნით
უშგული გახლავს
და ბეჭზე მიდევს
შენი საკაცე...
შენ დაგეუფლა
ძილი და დაღლა,
შენ დასახარჯი
უკვე დახარჯე...
შენ გაიელვე
ღრუბლებზე მაღლა,
შენ საქართველოს
ღამე გახაზე...
ასი ცხენოსნით
უშგული გახლავს
და მიტივტივებს
შენი საკაცე...

ვოი, რა უფერულია სიკვდილი ლოგინში!
ვოი, რა საშინელია სიკვდილი ლოგინში!
ისიც ლოგინში მომკვდარა, ოღონდ –
ყინულის ლოგინში!..

გურამ თიკანაძეს შხარა აუღია,
რაც მოხდა, დაშვებისას მომხდარა:
თავი სიმამაცით წაუგია,
ვოი-ვო, გურამი მომკვდარა...
ცოცხლისგან საყვედური აუგია,
ჩაუქი მკვდარიც ჩაუქია –
ვარსკვლავი
ვარსკვლავებს მომწყდარა.

1964.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ყოვლისა მოსაკრეფელის,
ბრძენთა სთქვეს, დროა მკრეფელი:
დრო ჰქრის,
        დრო ჰქრის და,
            მეფობენ
                დრონი!
                    და არა მეფენი!

ჭაბუკსა მაკედონელსა
ჰინდუსტანს აუღებელი
რა დარჩა?!
        დრონი მეფობენ!
            დრონი!
                და არა მეფენი!

„მე ვარო!“ —
აგრე ჰგონებდა
ის გენიოსიც ბებერი,
დრო ჰქრის,
        დრო ჰქრის და,
            მეფობენ
                დრონი!
                    და არა მეფენი!

1963

* * *

შენი ოქროს წიწილით
და მგლის ლეკვით
სად ხარ ახლა, ელენ!
მელანდება ოხვრით
ფიჭვის ტევრში ქოხი
და ყავარზე კოხი,
ელენ!
მეკუმშება გული:
კარგად ვართო, მწერენ,
ეგ ხელები მწერენ, ელენ!
ჩემს მხნეობას ნატრობ,
იოლ სიტყვას „გმადლობ"
ერთხელ კიდევ გეტყვი,
ელენ!
შენი ოქროს წიწილით
და მგლის ლეკვით
შორს ხარ ახლა, ელენ!
მელანდება ოხვრით
ფიჭვის ტევრში ქოხი
და ყავარზე კოხი,
ელენ!

1960.

თამუნია ქაგთარაძეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირმოღუშული სახითა
        აქ მრავალს ჩაუვლია...
შენ ამ ქალაქში რა გინდა,
        პატარა თამუნია?!

ქალაქი – დიდი იმედის!
        ქალაქი – ტყუპი მექის!
დადიან ბრძნული ხველებით
        ვეტერანები ჭლექის...

მთაში ირემი აყვირდა –
        ტირილი გაერია...
შენ ამ ქალაქში რა გინდა,
        პატარა თამუნია?!

სად უცხო ჭალაკი არი
        და სად ვიწროში ბღავის
არაგვი – არაგვიანი,
        იქ უნდა კრეფდე ყვავილს!..

პირმოღუშული სახითა
        აქ მრავალს ჩაუვლია...
შენ ამ ქალაქში რა გინდა,
        პატარა თამუნია?!

ანანურზეით სოფელი...
        წელში გაჩრილი წალდით
ტყეს წავა მამა მშობელი –
        მუშტისტოლაა დარდით...

მთაში ირემი აყვირდა –
        ტირილი გაურია...
შენ ამ ქალაქში რა გინდა,
პატარა თამუნია?!

1960.

რერო

(იუმორესკა)

ო, არა, იმას მე არ გკადრებთ, რაც უნდა ჰყეფოთ.
ძაღლების ხროვას შეგადაროთ, მოსეულს ალყად. –
მოგესალმებით სიყვარულით თქვენ, ჩემო მტრებო,
და ვთხოვ განგებას, თქვენი თავი მიმყოფოს კარგად!

რერო!
სულ არ მოვალ ამ ქვეყანას, რერო!
თქვენ რომ არ მეგულებოდეთ,
რერო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე რომ ვმარცხდები, ვიცი, არის თქვენთვის ცხონება!
მე რომ ვიმარჯვებ, ვიცი, ძილში არ გესვენებათ!
თქვენ რომ არ იყოთ, რა იქნება ჩემი ცხოვრება.
თქვენ რომ არ მყავდეთ – რა მეშველება!

რერო!
რაღა მინდა ამ ქვეყანას მე, რომ
თქვენ რომ არ მეგულებოდეთ,
რერო!

შვიდი სასმური წინ მიდგას და დავცლი ამაღამ,
ჩემი თქვენდამი უაღრესი მადლობის ნიშნად!
თქვენ რომ არ იყოთ, რა მამღერებს ასე ხმამაღლა.
თქვენ რომ ამ მყავდეთ,
ვისთვის ვიყო ნეტავი ფხიზლად!

რერო!
სულ არ ვიმღერ ამ ქვეყანას მე რომ
თქვენ რომ ამ მეგულებოდეთ,
რერო!

– „მოეშვი მაგათ!“ ოცხეს პირად მირჩია ბრძენმა,
მე – კი, ბატონო! მაგრამ გული რომ არა ცხრება?!
და მესმის, მესმის...
ქვაბის ნარეცხით დასუქებულ ძაღლების ყეფა...

რერო!
ხმალს არ ვიქნევ ამ ქვეყანას მე, რომ
თქვენ რომ არ მეგულებოდეთ,
რერო!

1960.

დათვები

მთელი ზამთარი ხუდადოვის ტყეში მეძინა –
იქ ცხოვრობს ჩვენი წყეული კასტა.
მთელი ზამთარი სულ დათოვლილ ტყეში მეძინა –
ეს გაზაფხული უეცრად გაჩნდა.
მთელი ზამთარი სულ დათოვლილ ტყეში მეძინა
მთელ ზამთარს ვლოკე იმედის თათი.
მთელი ზამთარი იმედებით ვიკვებებოდი
და ჰა,
ბუნაგიდან გამოვდივარ დაჭრილი დათვი...

და ჰა, ბუნაგში დარჩა სადღაც ზამთარი დიდი –
მე ეს აპრილი იქ ვნახე სიზმრად:
მილიონ შტოზე მილიონი ფაჩუნობს კვირტი,
და ყველაფერი ჩახჩახებს მზისფრად.
წითელი დისკო შავ მუხნარებს დასცქერის მაღლით,
მზე და ბალახი მახვევენ თავბრუს...
ახალი ხორცით, ახალი ტყავით, ახალი ჯაგრით
მე ვიმოსები
და ველი ზაფხულს...

რარიგ მიყვარდა ჩემი ტყე და ჩემი დათვები!
მაგრამ, როდესაც გაჩეხილ ბეჭით
მე დავენარცხე და ძირს ვეგდე დღენი და თვენი,
გარდა ამისა, მე დაჭრილი შევიქმენ ეჭვით,
მე მაშინ თოფზე უფრო მეტად ეჭვმა დამთოფა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას შემდეგ ვწყევლი დათვის ძუძუებს –
შებრუნდა ყველა, შეირცხვინეს ერთხმად დათვობა
და მწვერვალები
        გადიძუნძულეს...

მხოლოდ იმ ერთმა, მხოლოდ ერთმა, რა ნახა სისხლი,
მოვიდა, ფრთხილად დამადო ლოყა;
მხოლოდ იმ ერთმა, მხოლოდ ერთმა, რა ნახა სისხლი
სისხლიან ბილიკს ჩემამდე მოჰყვა;
აიღო თავი, დათვმა დათვებს გაჰბღავლა რისხვით
და მერე დიდხანს ტირილით მლოკა...
მხოლოდ იმ ერთმა, მხოლოდ ერთმა, რა ნახა სისხლი,
მოვიდა,
        ფრთხილად დამადო ლოყა;

მთელი ზამთარი ხუდადოვის ტყეში მეძინა –
იქ ცხოვრობს ჩვენი წყეული კასტა.
მთელი ზამთარი სულ დათოვლილ ტყეში მეძინა –
ეს გაზაფხული რა უცებ გაჩნდა.
მთელი ზამთარი სულ დათოვლილ ტყეში მეძინა
მთელ ზამთარს ვლოკე იმედის თათი.
მთელი ზამთარი იმედებით ვიკვებებოდი
და ჰა,
        ბუნაგიდან გამოვდივარ დაჭრილი დათვი...

გაავებული მე მოვამტვრევ ოცი წლის ჭადრებს!
ვჯეგავ, თუ ჯაგი გადამეღობა!
ვიცი, შევხვდები თავის დროზე უგნურ დათვებს!
ვიცი, შევხვდები დათვს და მეგობარს!
წითელი დისკო შავ მუხნარებს დასცქერის მაღლით,
მზე და ბალახი მახვევენ თავბრუს...
ახალი ხორცით, ახალი ტყავით, ახალი ჯაგრით
მე ვიმოსები
        და ველი ზაფხულს!

1960.

* * *

ბერნუში დაგიხატია, ზაზული,
იქვე დაგისვამს მარტო,
იმ ნუშქვეშ, ფიქრში წასული
დიდედაშენი კატო...

მიხარის შენი ტრფიალი, რად არა!
ფერში მოთხვრილი თითი!
მაგრამ გაფრთხილებ, არ მემეტები, პატარავ,
ძნელია მხატვრის ტვირთი!

შვილო, გახსოვდეს, ცხოვრების ნიჭი ერთია,
სხვაა – ძებნის და ნატვრის,
ხოლო რჩეულთა, მხოლოდ რჩეულთა ხვედრია
ხვედრი ნამდვილი მხატვრის...

გიჟის ხალათი გერჩიოს, თოლიგე,
მხატვრის და მგოსნის ხალათს!
საყვარელ ქალის ღალატი, თოლიგე,
შვიდფერი მუზის ღალატს!

1960.

ციცო

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყაროზე ჩაგიყვანსო და არ დაგალევინებსო,
მწყურვალს დაგტოვებსო,
ჩაჰყვები ვინცო,
ცოლ-შვილს გაგყრის და აგარევინებსო...
შენზე თუ უთქვამთ,
პატარა ციცო!

მე იმ ასაკში არა ვარ ახლა და
არც იმ ჭკუაზე,
ცოლ-შვილს გავეყარო,
მაგრამ შემომიჩნდა სურვილის მახრა და
პატარა ციცო,
უნდა დამეხმარო!

ხოლო ციცუნია ტოლებში დაჰქრის
და შენი ეგ მახრა
ფეხებზე ჰკიდია,
თუმცკი სავსე მკერდი მიუგავს სახნისს
და ეს შეახსენებს,
რომ უკვე დიდია...

ისე ჩამოგივლის მინაგასახეთქი,
ვითომც ქვეყანაზე
მარტო ის ერთია –
როგორც ხეჭეჭური, ქვაზე დასათხლეში,
ციცო ისეთია!..

წყაროზე ჩაგიყვანსო და არ დაგალევინებსო,
მწყურვალს დაგტოვებსო,
დაჰყვები ვინცო,
ცოლ-შვილს გაგყრის და აგარევინებსო –
შენზე თუ უთქვამთ,
პატარა ციცო!

1960.

* * *

მე თუ გავგიჟდი, გავგიჟდები შენი ყურებით!
    გითვალიერებ ხორციელ მკლავებს.
ეგ ბაგეები – ალუბლებით შენიღბულები,
    ეგ ალუბლები –
        სიმწიფით მკლავენ...

გჭვრეტ ქვეყნიერი მშვენებით ბურვილს,
    მისმენ – ვედები ღობეს და ყორეს...
ვცემ თაყვანს – ჩემსას შენდამი სურვილს
    აღძრულს –
        შენდამი ძალსა და ღონეს!

1959.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

გაზაფხული შემოსულა, ლენ!
ბუდეები გაუწყვიათ ჩიტებს...
მე გიყიდი წითელ-ყვითელ ჩითებს,
თეთრი ტილო მომიქარგე შენ!
გაზაფხული შემოსულა, ლენ!

მოგანატრე სათიბი და ტყე,
სუნი ქუსლით გასრესილი ანწლის,
შორს გუმბათი ბეთანიის ტაძრის
და ცისფერი, უბორკილო დღე...
მოგანატრე სათიბი და ტყე!

ანი აღარ გაგაჩერებ შინ,
ანი ოჯახს ვერ დაარქმევ „დილეგს“,
მკვირცხლი ბიჭი შეუყენე ბილიკს –
მწევარივით გამიხტუნე წინ!
ანი აღარ გაგაჩერებ შინ!

გაზაფხული შემოსულა, ლენ,
რია-რია გაუმართავთ ჩიტებს
მე გიყიდი ყვავილიან ჩითებს,
თეთრი ტილო მომიქარგე შენ!
გაზაფხული შემოსულა, ლენ!

1957.

საჩუქარი

„კოჭლი სტრიქონი ერჩიაო
მთელს იმპერიას!“ (ნოდარ ტაბიძე) 3

ვეჩვევი უშენობას! 9
*** თქვენს ტურფა ქსენონს... 10
*** ყველა თავის ჯამს 11
*** ამას შენც თუ გკადრებდნენ, ეს ვერ წარმომედგინა 12
*** ყველაფერი აირია 13
ლამობს ყოველი... 15
რუდაქი იტყვის 16
გათენდა სოფლად... 18
*** შვილიშვილს ბაბუის დაარქვეს სახელი 19
*** ამიღებთ, წამიღებთ, დამფლავთ 20
76 წლის ჭაბუა ამირეჯიბს
75 წლის მურმან ლებანიძისაგან 21
*** ჩვენი დრო გათავდა! 22
*** მე არც ძველს ვუმღეროდი „ლალეს“ 24
*** მე დავბერდი და მე დავიღალე 25
*** მინახავს კაცი ცხენზე შემჯდარი 26
ჩეჩნეთი 27
*** წიგნი, რომელიც ანათებს 28
*** მე რომ მეგონე, თურმე ის არ ხარ 29
ზურაბ ჭავჭავაძის სურათზე 30
*** ვერ აიტანა გრიგოლი 31
*** დავითს გადმოჰყავდა ოსეთზე ყივჩაღები 32
*** ბურთი! ბურთი! ბურთი მიწის 33
*** გასჭირვებია ხალხად ჩვენი ცნობა ევროპას 34
ყვარყვარე – პარლამენტში!
ყვარყვარე – დაბა-სოფლად! 35

*** თავი აიშვა პრესამ 36
სიმღერა 37
გვიან გავილვიძეთ 38
„ადამონ ნიხასს", ყრილობას ლიხნის! 39
ზაფხული – 1990 40
*** ძალას დაატანს ეს რუსეთი დღეს თუკი ჭკუას 41
*** ჩქზრობო, მითხრეს 42
*** „რას ერჩიო?!" – კაცზე მკითხეს 44
*** სისხლის წვიმები ჩქეფენ 45
*** თეა-თეონა-თეო 46
*** პოეტიაო, ჩემი ქმარი 47
*** არ დაცემულა საქართველო 48
*** „არ იყავიო ვაჟას დღეზე ამ ზაფხულს ჩარგალს?!" 50
წარწერა წიგნზე 51
*** სახლი – ავაშენე! – კორდი – გავათენე! 52
*** ორლობის თოვლში კაცები დგანან 53
*** წვრილ სარკმელში ხიდის კიდის 54
*** არაფერი! – მოცდა მცირეოდენი! 55
*** მეწადა, ქართველს მევლო ქართველად 56
*** დიდებულად – წვიმს, დიდებულად – თოვს 57
უახლოვდება კაცი იგი როდესაც ოთხმოცს 58
*** დილის ბინდში ვერის ხიდზე მოვხვდით 60
*** იმდენი ვწერე სოფლის დაშლაზე 61
*** ორმოცდაათის მერე 62
*** მე თუ მკითხეს 63
*** მე ვიყავ ბათომს 64
*** გარეთ წვიმაა, ტყეები დალბა 65
*** კაცი – გაფუყული დადის 66
*** ბოლჩებით და ყავარჯნებით 68
*** სადაც შეხვედი, ღვინოს გაწვდიან 69
*** უძვირფასესი იყო ზაფხული 70
*** ჩანგო ჩემო, მოხრიხარ 71
სამშობლო 72
*** ჩემო პანია, საბრალო დედავ 73
*** აფხაზეთზე ამ კაცს თვალი უჭირავს 74
*** ხტიან რუები 75
უცხოელ პოეტს 76
*** გოგოს, თვითონ პატარას 77

*** მე ხელთ მიპყრია ნაზად 79
*** მოვიმღერდი როსმე ველად 81
ბევრს არ დაგპირდები 82
ჭეშმარიტება 83
*** მარეკები შლიდნენ ბანაკს 84
*** სადაც ჩაღრმავდები, ყველგან ზოდებია 85
მკითხე და გეტყვი 86
*** სასახლეებში, ბაღში, სკვერებში 87
*** დროით უფსკრულებს გადავყურებ 88
*** უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი 89
ყველას! ყველას! ყველას! 90
მეშინია 91
*** ამ ცხოვრებამ – ბრძნულმან, რთულმან 92
*** დაცხრი გულო! 93
ეგ – არაფერი 94
*** ვარ აჩეხილი ნახევრად ვაზი 97
მკვდრები 98
შეგონებანი 101
ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო 102
*** ყვავილების მდინარეს კუბო ცისკენ მიჰქონდა 104
*** ვერაფერი გამიგია 106
*** ამ სახლში ბევრი 107
*** ჩემს გალაკტიონს მე ვკითხე ერთხელ 108
მახსოვს! 109
*** ხარ დიდი სანდრო ბოტიჩელის მადონა ნორჩი 111
მგლები 112
*** ქართველები 113
*** როდესაც გრიალებს „ბრავო!“ 114
ვოი! 115
*** ყოვლისა მოსაკრეფელის 118
*** შენი ოქროს წინილით 119
თამუნია ქავთარაძეს 120
რერო 121
დათვები 123
*** ბერნუში დაგიხატია, ზაზული 125
ციცო 126
*** მე თუ გავგიჟდი, გავგიჟდები შენი ყურებით! 127
*** გაზაფხული შემოსულა, ლენ! 128

J 1236/17

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგამომცემლო ჯგუფი

ვიოლა ტულუში
ნინო ყულოშვილი
მართა წიკლაური
შორენა წიქარიშვილი

გარეკანის დიზაინი

ილია ხელაიასი

გამომცემლობა
ინტელექტი

თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №17ბ
25-05-22, 8(99) 53-05-22, 8(99) 55-66-54
inteleqti@telenet.ge

266.086
3



ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული პოეზია

გერგები ჰაჰად,
ჰაჰის ჰაჰად გერგები, ალბათ,
ვარ დამეში და
ახი წელი გაირბენს სწრაფად;
არათუ ხორცი,
ძვალიც ჩემი როცა დამიწდეს,
კავკასიონის
მწვერვალები როცა ავერცხლდეს,
„თენდება, ჰაჰაე!“?
ჩამოშძახო, არ დაგავიწყდეს!

ISBN 99940-39-58-X